ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## პოლანდიაში აღმოაჩინეს კორონავირუსის ანტისხეული, რომელიც ვირუსს დაბლოკავს

გვ.2



10 მარტიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ორშაბათი, 16 მარტი, 2020 №63 (8327) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნებამ“ არჩილ თალაკვაძეს ყური აუწია“

გვ.3



## მამუკა გამყრელიძე: „ძალიან მძიმე საუბრები ყოფილა“



## სერგო რატიანი: „ველოდები, რომ პრეზიდენტი უგულავას შეიწყალებს“

გვ.3



„ვხედავთ, მმართველ პარტიას არ უქმნის უხერხულობას, რომ მას ეძახიან მატყუარას“

გვ.2



## გიგა ბოკერია: „უტიფარი ტყუილია, რომ მე ამირან გამყრელიძის დაპატიმრება მოვითხოვე“

„ასეთი კრიზისის დროს ოპონირების მეთოდები განსხვავებული უნდა იყოს“

## დემურ გიორხელიძე: „საქართველო ეკონომიკურად იზარალებს“

გვ.4





გვ.4

## ვახტანგ მაისაია: „კორონავირუსმა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შექმნა“

გვ.4



## ჯემალ გამახარია: „გალის მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა შეექმნა“

ISSN 1987-9385

**5** პოლიციამ თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 42 ადამიანი გადაიყვანა

**2** საპატრიარქო: „ზიარების შემდგომ სასმელის მიღება შეიძლება მოხდეს საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით“

**5** ერთიანი მომსახურების ცენტრი მოქალაქეთა დისტანციურ მომსახურებაზე გადადის

**6** „ჯერ ხელი დაიბანე და ხმა შემდეგ მიეცი“

# გიგა ბოკერია: „უტიფარი ტყუილია, რომ მე ამირან გამყრელიძის დაპატიმრება მოვითხოვე“

## „ასეთი კრიზისის დროს ოპონირების მეთოდები განსხვავებული უნდა იყოს“



– „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ყალბი ამბების გვერდებისა და ფიგურების მხრიდან გრძელდება ჩემი და ჩვენი პოლიტიკური გუნდის სხვა წევრების წინააღმდეგ ბინძური სიცრუის გავრცელება, რომ ჩვენ თითქოს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს აგრესიულად ვესხმით თავს.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგა ბოკერიამ განაცხადა.

ბოკერია უარყოფს სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე კორუფციაში დაადანაშაულა და მისი დაპატიმრება მოითხოვა.

გიგა ბოკერია ამ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ ამ სიცრუეს ცოტა ადამიანი დაიჯერებს.

ამასთან, ოპოზიციონერი დეპუტატი მმართველ პარტიას მოუწოდებს, უარი თქვას საზოგადოებაში შუღლისა და აგრესიის დათესვაზე.

– როცა მთელი მსოფლიო და მათ შორის ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევის წინაშეა, როცა ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ამხელა საფრთხე ემუქრება, ასეთ მომენტში აბსოლუტურად ბუნებრივია საზოგადოების კონსოლიდაცია.

ასეთ კონსოლიდაციას უკვე ვხედავთ კიდეც. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ასეთ დროს დისკუსია და ოპონირება უნდა შეწყდეს იმაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადავადგათ ამ საფრთხის დასაძლევად ან შესამცირებლად. ამავე დროს, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ყველა ადამიანსა თუ ჯგუფს უნდა გვესმოდეს, რომ ასეთ კონტექსტში მიმდინარე დისკუსიის ტონიც და პოლიტიკური ოპონირების მეთოდებიც ჩვეულებრივი ვითარებისგან განსხვავებული უნდა იყოს.

სამწუხაროა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული ყალბი ამბების გვერდების და ფიგურების მხრიდან გრძელდება ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ნორმალური ვითარებისთვისაც კი შეუფერებელია. ამის მაგალითია ჩემი და ჩვენი პოლიტიკური გუნდის სხვა წევრების წინააღმდეგ ბინძური სიცრუის გავრცელება, რომ ჩვენ თითქოს აგრესიულად ვესხმით თავს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს და ისეთ ფიგურებს, რომლებიც ეპიდემიასთან ბრძოლისას საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ. ასეთი უტიფარი სიცრუეა, თითქოს მე როდესმე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის დაპატიმრება მოვითხოვე.

შესაძლოა და იმედია, რომ ამ აბსურდულ სიცრუეს ცოტა ადამიანი იჯერებს. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფას და არა – გაერთიანებას.

მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, ახლა მაინც, თუნდაც დროებით, უარი თქვან საზოგადოებაში შუღლისა და აგრესიის დათესვაზე, – განაცხადა ბოკერიამ.

# საქართველოში კორონავირუსის კიდევ 3 შემთხვევა დადასტურდა

## „ყველაზე მძიმე პაციენტის მდგომარეობა ისევ უმჯობესდება“

გუშინ, 15 მარტს, საქართველოში კორონავირუსის კიდევ 3 შემთხვევა დადასტურდა.

ინფექციური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის თენგიზ ცერცვაძის განცხადებით, ეს 3 პირი კონტაქტში იყო უცხოელებთან მაღალი რისკის ქვეყნებიდან.

მისივე თქმით, ქვეყანაში ჯერჯერობით იმედისმომცემი სიტუაციაა.

– 33 ინფიცირებულია. გუშინ იყო 30 და დაემატა – 3. ეს პაციენტები არიან საშუალო ასაკის პირები, 1 მამაკაცი და 2 ქალი. სამივე მათგანი იყო კონტაქტში უცხოელებთან მაღალი რისკის ქვეყნებიდან. ჯერჯერობით ვინარჩუნებთ იმედისმომცემ სიტუაციას, როდესაც არ დაფიქსირებულა მეოთხეული შიდა გადაცემა, როდესაც დაინფიცირდება პაციენტი ისე, რომ მან არ იცის, თუ ვისგან დაინფიცირდა.

მაგალითად, შეიძლება იყოს, რომ პიროვნება გავიდეს მაღაზიაში, ან რაღაც საქმეზე, ქუჩაში და შემდეგ აღმოჩნდეს ინფიცირებული. ეს მდგომარეობა უფრო სერიოზულია და გარკვეულ სპეციალურ ტაქტიკას მოითხოვს ღონისძიებების. ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ეს არ არის. ამ სამივე ადამიანმა იცის, თუ ვისთან ჰქონდა კონტაქტი.

მე არ ვიცი ზუსტად, ისინი თვითიზოლაციაში იყვნენ თუ კარანტინში, მაგრამ რომელიღაც ფორმა გამოყენებული ჰქონდათ. არაფერი კავშირი ამ პაციენტებს არ აქვთ იმ ჯგუფებთან რომლებზეც აქამდე იყო საუბარი, – განაცხადა ცერცვაძემ.

მისივე თქმით, 44 წლის მამაკაცი, რომლის მდგომარეობაც ახალი კორონავირუსის გამო მძიმე იყო, გაუმჯობესებისკენ მიდის.

– ის პაციენტი, რომელზეც ეგ ინფორმაცია არის, 44 წლის მამაკაცი, მისი მდგომარეობა უკვე უმჯობესდება და აღარ არის საფრთხის შემცველი სიცოცხლისთვის, – განაცხადა ცერცვაძემ.

რაც შეეხება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებს, რომ საქართველოში 1 პირი კორონავირუსისგან განიკურნა, ცერცვაძე ამბობს, რომ ორგანიზაციამ იჩქარა ამ მონაცემის გამოქვეყნება, თუმცა, დასძინა, რომ ამით არაფერი შეცვლილა და არაფერი დაშავდება.

– დღეს თუ არა ხვალ იქნება უარყოფითი პასუხი, – განაცხადა ცერცვაძემ.

მანვე აღნიშნა, რომ რიგით მესამე პაციენტის პირველი ტესტის პასუხი უარყოფითია.

– ხვალაც თუ უარყოფითი იქნება, მაშინ ისე გამოვა, რომ გაწერაში მესამე გაასწრებს პირველს, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

მისი თქმით, პირველ პაციენტს ჯერ კიდევ უფიქსირდება ვირუსის




მცირე ნიშნები, რის გამოც, მისი გაწერა რამდენიმე დღით გადაიდო.

– პირველ დადასტურებულ შემთხვევაზე, გუშინ ერთი ანალიზი ავიღეთ, რომელიც უარყოფითი იყო. დღეს განმეორებით ანალიზში გამოვიდა მაინც სუსტი დადებითი, ანუ ინფექციის ნიშნები ჯერ კიდევ არის, რის გამოც ამ პაციენტის გაწერა რამდენიმე დღით გადაიდო.

მაგრამ გვაქვს სხვა სასიხარულო ინფორმაცია, რომ რიგით მესამე პაციენტს, რომელიც პირველ პაციენტთან ერთად ირანში დაინფიცირდა, პირველი ტესტი უარყოფითი აქვს. ხვალ კიდევ ერთი ტესტი გაუკეთდება და თუ ისიც უარყოფითი იქნება, მაშინ ისე გამოვა, რომ გაწერაში მესამე გაასწრებს პირველს, – აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

# ჰოლანდიაში აღმოაჩინეს კორონავირუსის ანტისხეული, რომელიც ვირუსს დაბლოკავს

უტრეხტის უნივერსიტეტის ერასმუსის სამედიცინო ცენტრის მკვლევართა ჯგუფის განცხადებით, აღმოჩენილია კორონავირუსული დაავადება კოვიდ 19-ის გამომწვევი ვირუსის, სარს-კოვ-2-ის საწინააღმდეგო ანტისხეული.

მათი განცხადებით, ანტისხეული აქამდე ჯერ აღმოჩენილი არ იყო. ამ აღმოჩენამ შეიძლება მიგვიყვანოს ანტივირუსული პრეპარატის შექმნასთან.

– უკვე მოხუცი ვარ, რომ მაგიდაზე ავიდე და ვიხტუნაო, – განაცხადა უჯრედული ბიოლოგიის პროფესორმა ფრანკ გროსველდმა.

სტატიაში მკვლევრები იტყობინებიან მონოკლონური ანტისხეულის აღმოჩენის შესახებ, რომელიც ანეიტრალებს სარს-კოვ-2-ს, ვირუსს, რომელიც იწვევს კორონავირუსულ დაავადება კოვიდ-19-ს.

ისინი ამბობენ, რომ მათ მიერ ნაპოვნი ანტისხეული ახდენს ვირუსის ნეიტრალიზებას და გვთავაზობს როგორც კოვიდ-19-ის, ისე მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ქვეგვარის ვირუსების მიერ გამოწვეული სხვა დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის პოტენციალს.

ახალი აღმოჩენის წყალობით შეიძლება შეიქმნას მედიკამენტი, რომელსაც



მედიკოსები კორონავირუსის ამჟამინდელი შტამით ინფიცირებულ ადამიანთა სამკურნალოდ გამოიყენებენ.

გროსველდის თქმით, მისი შექმნა ვაქცინაზე სწრაფად არის შესაძლებელი, მაგრამ ესაჭიროება რამდენიმე თვის განმავლობაში ტესტირება.

ამავე დროს, მისი წარმოება ვაქცინაზე უფრო ძვირი იქნება.

– რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს გახლავთ პირველი ანტისხეული, რომელიც ინფექციას ბლოკავს. მსგავსის აღმოჩენა ძალიან იშვიათია. ჩვენ ახლა ვცდილობთ, მოვძებნოთ ფარმაცევტული კომპანია, რომელიც ამ ანტისხეულის ფართომასშტაბიან, პრეპარატის სახით წარმოებას შეძლებს, – დასძინა პროფესორმა ფრანკ გროსველდმა.

# აჭარაში კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, აჭარაში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა.

ამის შესახებ რიჟვაძემ გუშინ, 15 მარტს, ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, აჭარაში თვითიზოლაციის დარღვევის შემთხვევებიც დაფიქსირდა.

– დღეს აჭარაში დაგვიდასტურდა იმპორტირებული დაინფიცირების პირველი შემთხვევა. თუმცა, ჩვენი მედიკოსები აკეთებენ ყველაფერს. მისი მდგომარეობა არის სტაბილური. მთლიანად მთავრობა მუშაობს იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც გვაქვს.

მოსახლეობას კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო, რომ არ ავყვეთ პანიკას, ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ყველანაირი ქმედითი ღონისძიება გატარებულია და, შესაბამისად, ჩვენ ამ გამოწვევას მოვერევით და ღირსეულად ვუპასუხებთ.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ თვითიზოლაციის დარღვევის რამდენიმე შემთხვევა გვქონდა და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოქალაქეებს, არცერთ შემთხვევაში არ დაარღვიონ წესები და ამით საფრთხე არ შეუქმნან როგორც მათ, ასევე განსაკუთრებით სხვების ჯანმრთელობას, – განაცხადა რიჟვაძემ.

მან თავი შეიკავა პასუხისგან, არის თუ არა დაინფიცირებული პირი აჭარის მცხოვრები. თუმცა, აღნიშნა, რომ მისი მდგომარეობა სტაბილურია და კორონავირუსის გავრცელების საშიშროება რეგიონში არ არის.

– ამ ადამიანთან დაკავშირებით გატარებულია ყველა პროტოკოლური ღონისძიება. ეს ადამიანი პირდაპირ გადაიყვანეს კარანტინში, შესაბამისად, გავრცელების რისკები მინიმალურია, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

# იტალიის ქალაქ ბარიში გარდაცვლილი დედა-შვილი ეკა და ბექა ჯაბუშანურები არიან



ქართველი ემიგრანტებისთვის მორიგი ტრაგედია დატრიალდა იტალიაში – სამართალდამცველებმა ქალაქ ბარის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში 41 წლის ეკა და 16 წლის ბექა ჯაბუშანურები გარდაცვლილები იპოვეს.

პოლიციას ჯაბუშანურების მოძებნის თხოვნით გარდაცვლილების ახლობლებმა მას შემდეგ მიმართეს, რაც ისინი სატელეფონო ზარებს 3 დღის განმავლობაში არ პასუხობდნენ.

იტალიელ სამართალდამცველთა პირველადი ინფორმაციით, ქართველი დედა-შვილი ბუნებრივი აირის გაჟონვით არის გარდაცვლილი, რაც ბინაში კუსტარულად დამონტაჟებულმა გამათბობელმა გამოიწვია.

იტალიაში გარდაცვლილი დედა-შვილი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მლაშედან არიან და ქალაქ ბარიში მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ბექა სწავლობდა, ეკა კი მუშაობდა.

მომხდარის შესახებ „კვირის პალიტრას“ ერთ-ერთმა ახლობელმა უამბო:

– ენით აუწერელი ტრაგედია დატრიალდა, ეკას დედაც ცოცხალი ჰყავს და მამაც, მათთვის ეს ტრაგედია პირველი არ არის, წლების წინ ეკას ძმა ბაზალეთზე შეიწირა რაღაც გაუგებრობამ, ახლა კი ეკაც და მისი ვაჟიც...

არადა, როგორ შეჰხაროდნენ ეკას მშობლები შვილიშვილს. ეკა დაახლოებით 11 წლის წინ გაჰყვა უფროსი დის კვალს იტალიაში. გოგონებმა სამშობლოში ცხოვრება რომ ვერ ააწყვეს, იტალიაში წავიდნენ სამუშაოდ.

ამ დროს უკვე მეუღლესთან იყო გაშორებული, თავიდან შვილი დედ-მამას ცოტა ხნით დაუტოვა, ბავშვმა ბაღი რომ დაასრულა, მაშინვე წაიყვანა და იქ შეიყვანა სკოლაში... განა არ უჭირდა, ძალიანაც უჭირდა, საბრალო გოგო გამუდმებით მუშაობდა, რომ ბავშვი გვერდით ჰყოლოდა და კარგი განათლება მიეცა. ახლა კი ეს გაუგონარი უბედურება მოხდა... დედა-შვილს ისე უყვარდა ერთმანეთი, იმქვეყნადაც ერთად წავიდნენ.

– საქართველოში კუსტარულად დამონტაჟებულმა გამათბობელმა არაერთი სიცოცხლე იმსხვერპლა, იტალიაშიც თუ მსგავსი ხდება, ვინ იფიქრებდა...

– პატარა, ძველი ბინა ჰქონდა ნაქირავები, ასეთ ბინებში თურმე არაერთ იტალიელს აქვს დამონტაჟებული კუსტარული გამათბობელი. ემიგრანტის შემოსავლით მეტს ვერ შესწვდებოდა, არადა, ფრთხილი და ჭკვიანი გოგო იყო. პოლიცია ეკას დამ გამოიძახა მას მერე, რაც სამი დღის განმავლობაში დედა-შვილი ტელეფონის ზარებს არ პასუხობდა.

პოლიციაში, როგორ ჩანს, კორონავირუსის გამო შესაბამისი ზომები აქვთ და სპეცტანსაცმლით მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, თავდაპირველად, დედა-შვილი თურმე ვირუსით გარდაცვლილები ეგონათ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. როგორც თქვეს, საცხოვრებელ ბინაში შესვლისას ეკა აბაზანაში ნახეს, ბექა კი – ერთ-ერთი ოთახის იატაკზე.

არ ვიცი, ამ კორონავირუსის გამო ან როგორ მოხერხდება მათი გადმოსვენება. ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო, ვუსამძიმრებ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

# საპატრიარქო: „ზიარების შემდგომ სასმელის მიღება შეიძლება მოხდეს საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით“

საქართველოს საპატრიარქო დასაშვებად მიიჩნევს, რომ ზიარების შემდგომ სასმელის („სიტკბოების“) მიღება საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით მოხდეს.

ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

საპატრიარქო მოსახლეობას მოუწოდებს, დაიცვან ჰიგიენის ნორმები, გამოიყენონ ნაკურთხი წყალი როგორც დასალევად, ასევე საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილების საპკურებლად.

„ხშირად უნდა გამოიყენოთ ნაკურთხი წყალი როგორც დასალევად (უზმოზე), ასევე საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის საპკურებლად. შეგახსენებთ, იმასაც, რომ გულში შეძლებისდაგვარად თქვათ „იესოს ლოცვა“ ან მოკლედ, „„უფალო,შემიწყალე“. როგორც წესი, საკვების მიღების წინ და შემდგომაც უნდა ითქვას შესაბამისი ლოცვა და საჭმელს ჯვარი გარდაესახოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირადი ჰიგიენის დაცვას და, ზოგადად, სისუფთავეზე ზრუნვას. ასევე, საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთობისას შემოთავაზებული წესების დაცვა.

უსაფრთხოების დამატებითი ზომების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს საპატრიარქომაც მიიღო და ეკლესიებისათვის სადეზინფექციო საშუალებების გაცემა უკვე დაწყებულია.

ღვთისმსახურება ტაძრებში აღევლინება ჩვეული წესით, თუმცა დასაშვებად მივიჩნევთ, რომ ზიარების შემდგომ სასმელის („სიტკბოების“) მიღება მოხდეს საკუთარი ან ერთჯერადი ჭიქებით“, – ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებამ“ არჩილ თალაკვაძეს ყური აუწია“

## მამუკა გამყრელიძე: „ძალიან მძიმე საუბრები ყოფილა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, ხელისუფლება კვლავაც პატიმრობაში ტოვებს იმ პირებს, რომელთა გათავისუფლების პირობაც დადო. კვირის ბოლოს თამლიანის პროცესი გაიმართა და ის კვლავ პატიმრობაში დატოვეს. ხომ არ გადალაგდა ოპოზიციის გეგმები? გაქვთ მოლოდინი, რომ ამ დათმობაზე წავა „ოცნება“?***

– ჩვენ ხომ შევთანხმდით იმაზე, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი წყვეტს საკითხებს. ყველაფერი არის ბიძინა ივანიშვილის გადასაწყვეტი. ამ ადამიანს როგორ ხასიათზე გაეღვიძება და რას მოიფიქრებს, კაცმა არ იცის. აბსოლუტურად ალოგიკურად აზროვნებს. რომ გამოეშვათ თამლიანი, არაფერი ცუდი ამით არ მოხდებოდა, რა დაშავდებოდა?! არაფერი.

***– თუკი თალაკვაძემ და კობახიძემ მისცეს თანხმობა ამ პირების გათავისუფლებაზე და დაიდო შეთანხმება, ამას ივანიშვილის გვერდის ავლით ხომ ვერ გააკეთებდნენ?***

– როგორც მე მომივიდა ინფორმაცია, თალაკვაძეს საკმაოდ სერიოზული საუბარი ჰქონია ამის შემდეგ პარტიაში.

***– უსაყვედურეს?***

– ეგ მსუბუქი ნათქვამია. ყოფილა ძალიან მძიმე საუბრები, ბევრი აილე შენს თავზე და ძალიან ბევრ დათმობაზე წახვედიო.

***– მაშინ რა გამოდის, თალაკვაძემ ერთპიროვნულად მიიღო ეს გადაწყვეტილება?***

– ეტყობა, თავის თავზე ზედმეტი აიღო და საკმაოდ მძიმე საუბარიც ჰქონია, მაგრამ, ცხადია, რომ შეთანხმდნენ. მეორე საკითხია, შეასრულებენ თუ არა ამ შეთანხმებას. თამლიანს, რამდენადაც ვიცი, 4 აპრილს გასდის ვადა. 4 აპრილისთვის მას ან უნდა მიუსაჯონ, გაუშვან ციხეში ან უნდა გამოუშვან. ვნახოთ, როგორ იქნება.

***– რა ბერკეტი აქვს ოპოზიციას?***

– რა ქნას ოპოზიციამ? რა ბერკეტი აქვს? დღეს არ არის ოპოზიცია ძლიერი. ოპოზიციას დღეს საქმე აქვს უზარმაზარი საფინანსო შესაძლებლობების მქონე ძალასთან. შესაძლოა, ხალხს ეს ძალა დიდად არ უყვარს, მაგრამ მისი შიში და პატივისცემა აქვს.

გარდა ამისა, ამ ხელისუფლებამ წინა მთავრობისგან მიიღო კარგად სტრუქტურირებული ძალოვანი უწყებები. შესაბამისად, ადმინისტრაციული რესურსი ძალიან ძლიერი აქვს. ამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაზარდეს სახელმწიფო მოხელეების რიცხვი. ისინიც დამოკიდებული არიან ხელისუფლებაზე. აქედან გამომდინარე, გაღატაკებულ ოპოზიციას დიდი ვერაფერი უჭირავს ხელში, გარდა დასავლეთის მხარდაჭერისა. ამ სიტუაციიდან გამომდინარე, საპროტესტო აქციებიც გაურკვეველი ვადით გადაიდო.

***– ესეც აზიანებს ოპოზიციას?***

– კი, ერთგვარად ესეც აზიანებს. ამაზეც გვისაყვედურეს, რატომ გადასწიეთ აქცია ამ სიშორეს, რატომ აქამდე არ ჩაატარეთო. რამდენადაც გავერკვიე ამ აქციების მოწყობის საკითხში, ხალხმრავალი აქციის ჩატარება საკმაოდ რთული ლოჯისტიკური ამბავია. ყველამ კარგად იცის, რომ თბილისი არ იკლავს თავს აქციებზე გამოსვლითა და ქუჩაში დგომით. საჭიროა ხალხის რეგიონებიდან ჩამოყვანა და ეს საკმაოდ რთულია. ამისთვის ფულია საჭირო, ამ ხალხის კვებაა საჭირო, ხომ უნდა დააბინავო ეს ხალხი, ამასაც თანხები უნდა. ამიტომ ეს ყველაფერი ძალიან პრობლემურია.

***– უგულავას ადვოკატმა პრეზიდენტს მიმართა შეწყალების თხოვნით. რა მოლოდინი გაქვთ?***

– აქაც იგივეა, რასაც ეტყვის ბიძინა ივანიშვილი, იმას გააკეთებს სალომე ზურაბიშვილი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად მძიმე იყო ეს ყველაფერი უგულავასთვის, რამხელა პირად შეურაცხყოფას გრძნობს იმით, რომ მას უწევს თხოვნა სალომე ზურაბიშვილისთვის, რომ შეიწყალოს. მე გიგის ადგილზე თავი რომ დავაყენე, მოვკვდი, რა!

***– გააკრიტიკეს უგულავა, სალომეს პრეზიდენტად არ აღიარებს და რატომ მიმართა შეწყალების თხოვნითო.***

– მე მესმის ყველაფერი, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც გიგის აკრიტიკებენ, ჩასხდნენ ციხეში და მერე ილაპარაკონ. მეორეც, ეს ადამიანი გარეთ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ციხეში. ყველა ხერხი უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ გარეთ გამოვიდეს. მე მას ვერანაირად ვერ გავკიცხავ. ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ადამიანურად ნამდვილად მეცოდება.

***– ოქრუაშვილსა და რურუაზე რას ფიქრობთ?***

– თქვენ წარმოგიდგენიათ, რურუა როგორ დაიჭირეს?! ჩაუდეს ადამიანს იარაღი. ვინც იცნობს ამ ოჯახს, გადასარევად იცის, რომ უზარმაზარი კოლექცია ჰქონდათ იარაღის და, რა გაუჭირდებოდა რურუას, რომ გაუფორმებელი იარაღით ევლო, თანაც ძველი მოდელის და მაყუჩიანით. ეს ძალიან სასაცილოა. კაცი როდესაც აიყვანეს, იქ არც კამერები იყო ჩართული, ამიტომ არანაირი მტკიცებულება არ არის, გარდა იმისა, რომ დაიჭირეს და უპოვეს იარაღი. არ



უშვებენ ადამიანს ციხიდან და ალბათ არც გამოუშვებენ. რატომ დასაჯეს, რისთვის დასაჯეს?! ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია.

ზუსტად იგივეა ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით. მე მრჩება იმის შეგრძნება, რომ იჭერენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მაქსიმალურად აქტიურობენ. ოქრუაშვილს აქვს იმის შესაძლებლობები, რომ გარკვეული რაოდენობის ხალხი ორგანიზებულად გამოიყვანოს ქუჩაში. იგივე შეუძლია გიორგი რურუასაც, რომელსაც, გარდა ყველაფრისა, ფინანსებიც ხელს უწყობს. ის მოწილეა მთავარი არხის და წარმატებული ბიზნესმენია.

***– ანუ მოიშორეს სერიოზული ლიდერები როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით?***

– კი ბატონო, მოიშორეს. ეს გარკვეული პრევენციაა იმისთვის, რომ ქუჩაში არ მოხდეს პროცესების გადატანა. ცხადია, ხელისუფლებას ეს არ აწყობს და არც დასავლეთს.

***– თუ არ აპირებდა „ოცნება“ პირობის შესრულებას, მაშინ საერთოდ რა აზრი ჰქონდა ასეთ შეთანხმებას? თანაც ელჩებიც ესწრებოდნენ ამ პროცესს. რა გამოდის, მათაც გადააგდებენ?***

– რა, გამორიცხავთ ამას?! მე აბსოლუტურად არ გამოვრიცხავ. რა ვიცით, როგორ ხასიათზე გაიღვიძებს ივანიშვილი?! დიპკორპუსი თავისას ცდილობს. ჩვენმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ დიპკორპუსი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა ზედმეტად. მათი მიზანია, ესკალაცია ჩააქრონ. მათი მოწოდებაა, რომ პროცესი იყოს მშვიდი, ქუჩაში არ გადავიდეს, კონსენსუსი რაღაცაზე ჩამოყალიბდეს და შეთანხმდნენ.

აი, ეს არის მათთვის მნიშვნელოვანი. დანარჩენს ვერაფრით ვერ აიძულებენ ვერც ხელისუფლებასა და ვერც ოპოზიციას.

***– სანქციებით ხომ აშინებენ ხელისუფლებას?***

– დიახ, სანქციებიც ერთ-ერთი ბერკეტია. ოპოზიცია ხომ წავიდა გარკვეულ დათმობაზე, ხელისუფლებაც უნდა წავიდეს. სიტყვიერად ამ დათმობაზე წავიდნენ, მაგრამ ერთხელ ვნახეთ, რა გააკეთეს, გადააგდეს ყველა ძალიან ლამაზად. სანქციები თუ იქნება, იქნება ქვეყნის მიმართ და ქვეყანა არაფერ შუაშია. თუ სისრულეში არ მოიყვანენ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ეს ძალიან ცუდი იქნება.

საარჩევნო შეთანხმება მოხდა დოკუმენტურად, ყველაფერი ჩაიწერა. პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით კი შეთანხმება მოხდა ვერბალურად. არანაირი ჩანაწერი იქ არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ელჩების თანდასწრებით მოხდა, ეს ყველამ გაიგო.

***– თუმცა სულ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს ამას ხელისუფლებამ და ოპოზიციამ.***

– ოპოზიციამ აქ სერიოზული დათმობა გააკეთა. არც ერთი ხელისუფალი არ იტყვის, რომ მას პოლიტპატიმარი ჰყავს. ეს ხომ გამორიცხულია. შესაბამისად, ისინი არც დაწერდნენ, ჩვენ პოლიტპატიმრები გვყავს და გამოვუშვებთ ან პოლიტიკურ დევნას შევწყვეტთო. ამას არ იტყვიან არასოდეს. ამიტომ ოპოზიცია წავიდა დათმობაზე და სიტყვიერი შეთანხმება დადო ხელისუფლებასთან. მათ აიღეს ვალდებულება, რომ რაღაცნაირად, ეს იქნებოდა პრეზიდენტის ჩარევით თუ სხვა გზით, ამ ხალხს გამოუშვებდნენ გარეთ.

დასავლეთში მცხოვრები ადამიანისთვის სიტყვიერი შეთანხმება აბსოლუტურად იგივეა, რაც წერილობითი. იქ სასამართლოშიც კი დგება სიტყვიერი შეთანხმება, როგორც დოკუმენტი. ხელისუფლებამ დადო სიტყვიერი შეთანხმება და ამ ხალხმაც დაუჯერა.

***– რას ელოდებით, როგორი შედეგი დაიდება არჩევნებზე?***

– ძალიან ძნელად საპროგნოზოა ეს ყველაფერი. ძალიან მძიმე იქნება არჩევნები. ხელისუფლებას რომ გაცილებით მეტი რესურსი აქვს, როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული, ამას რად უნდა ლაპარაკი.

უმძიმესი ზეწოლა იქნება. 30 მაჟორიტარია და ხელისუფლება შეეცდება, ყველა მაჟორიტარი გაიყვანოს, რომ რაღაცნაირად უმრავლესობა შეაგროვოს.

ამიტომ მძიმე არჩევნები გველის.

# სერგო რატიანი: „ველოდები, რომ პრეზიდენტი უგულავას შეიწყალებს“

## „ვხედავთ, მმართველ პარტიას არ უქმნის უხერხულობას, რომ მას მატყუარას ეძახიან“

იაგო ნაცვლიშვილი

**11 ევროპარლამენტარი 5 სხვადასხვა ფრაქციიდან საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მოუწოდებს, რომ „ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგი უგულავა შეიწყალოს. დოკუმენტი სოციალურ ქსელში პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სერგი კაპანაძემ გაავრცელა. ამასთან, უგულავას ადვოკატი პრეზიდენტს მიმართავს გიგი უგულავას შეწყალების თხოვნით, რათა პრეზიდენტი ვალდებული იყოს, ფორმალურად მაინც განიხილოს უგულავას შეწყალების საკითხი.**

**რა მოლოდინი აქვს — შეიწყალებს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გიგი უგულავას? შეასრულებს თუ არა „ქართული ოცნება“ დაპირებებს და, თუ არ გაათავისუფლებენ პოლიტპატიმრებს, ექნება თუ არა არჩევნებს ლეგიტიმაცია? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი საუბრობს.**

***– ფიქრობთ თუ არა, რომ „ქართული ოცნება“ მზად არის, შეასრულოს ის დაპირებები, რომლებიც მოგცათ ოპოზიციასა და საზოგადოებას უკვე მეორედ?***

– პირველ რიგში, მივესალმები თქვენს მკითხველს და ვიტყვი, რომ „ქართული ოცნების“ დაპირება ორ ნაბიჯად უნდა გავყოთ. ერთია დოკუმენტი, სადაც ხელი მოწერილია, რომელიც ეხება ცვლილებებს საარჩევნო კოდექსთან მიმართებით და რაც გულისხმობს საარჩევნო მოდელის მიღებას 120/30-ზე, ანუ 120 პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატი გვეყოლება, ხოლო 30 – მაჟორიტარულით. აქ თითქოს უფრო მკაფიოდ არის საქმე.

***– რაც შეეხება მეორე ნაწილს – პოლიტპატიმრების თემას, აქ როგორია თქვენი მოლოდინი?***

– რაც შეეხება პოლიტპატიმრების თემას, ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ ამ საქმეს აჭიანურებს, მაგრამ მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ პოლიტიკური კრიზისი ვერ განიმუხტება ამის გარეშე.

მმართველ პარტიას არ უქმნის უხერხულობას ის ფაქტი, რომ მას ეძახიან მატყუარას და თურმე ეს არის სრულიად გაცხადებული, როდესაც მას ხვდებიან ელჩები და საერთაშორისო პარტნიორები, სადაც ამბობს ერთ რაღაცას და შემდეგ იტყუება. ჩვენ ამ პერიოდში ვნახეთ შემაშფოთებელი ფაქტები, მაგალითად, 13 მარტს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– თამლიანის შემთხვევა. ვნახეთ, რომ 20 ივნისს დაკავებული პირი დატოვეს პატიმრობაში. ის ნამდვილად შეიძლება შევაფასოთ მძევლად. ის არ არის პოლიტიკური აქტივისტი. არც ერთი პარტიის აქტივისტი არ არის და ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ის არის მძევალი. ჩვენ ვნახეთ, რომ „ოცნებამ“ და „ოცნების“ მართულმა სასამართლომ დატოვა პატიმრობაში.

ევროპარლამენტარები აგზავნიან წერილს პრეზიდენტთან და მოითხოვენ გიგი უგულავას გამოშვებას. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ თუ არ იქნება შესრულებული პოლიტპატიმრების გამოშვების მოთხოვნა, მაშინ სიტუაციის ნორმალიზაციასა და ნორმალურ პირობებზე საუბარი ზედმეტია.

ამ საარჩევნო პერიოდის ლეგიტიმაცია იქნება ძალიან დაბალი. იმისათვის, რომ არჩევნები გამოცხადდეს ლეგიტიმურად, ფაქტობრივად, ორი მიმართულებაა. ერთია საარჩევნო კოდექსი, რომელზეც ვსაუბრობდით და მეორეა გარეთ არსებული ვითარება. თუ პოლიტპატიმრები არიან და ლიდერები რჩებიან ციხეში, ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ პროცესი არის ნორმალიზებული და არჩევნები ტარდება სამართლიან და ნორმალურ გარემოში.

***– იმ შეხვედრებზე კონკრეტული სახელებითა და გვარებით იყო თუ არა საუბარი, რომ ის პირები უნდა იყვნენ გათავისუფლებული?***

– მადლობა ამ კითხვისთვის. ეს თემა ლამის უკვე სასაცილო გახდა, იმიტომ, რომ ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ კი არ ვთქვით ეს, არამედ, პრაქტიკულად, მათმა მოკავშირემ თქვა ეს. ირმა ინაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ დასახელებული იყო სახელები და გვარები, ანუ არა მარტო ჩვენ ვამბობთ ამას, არამედ ირმა ინაშვილმა თქვა, რომ საუბარი იყო კონკრეტულ პირებზე და კონკრეტული სახელებისა და გვარების განხილვა იყო. რატომ არ მოაწერა ხელი ირმა ინაშვილმა?! ინაშვილი თვლის, რომ ეს პირები უნდა ისხდნენ ციხეში და სწორედ ამიტომ არ მოაწერა დოკუმენტს ხელი. მან ეს ღიადაც თქვა. ჩვენი ნათქვამი კი არ არის ეს, არამედ ირმა ინაშვილმა თქვა.

შიგნით რომ ეს გარემოა და ზოგადად „ქართული ოცნება“ თავს იტყუებს პოლიტპატიმრების თემაზე საუბრისას, ფაქტია. პრინციპში, როგორი რიტორიკითაც უნდა, იმ რიტორიკით ილაპარაკოს და, ვისაც რა უნდა, ის დაუძახოს, ოღონდ საქმე გააკეთოს და პოლიტპატიმრები გამოუშვას.

დღეს რომ ჩვენი პარტნიორები საუბრობენ ამაზე და „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, აღიარებულია ძალად, რომელსაც ჰყავს პოლიტპატიმრები, ეს ეჭვს აღარავისში იწვევს.

***– პრეზიდენტმა უგულავას შეწყალებასთან მიმართებით გაურკვეველი განცხადება გააკეთა, რომელსაც უპასუხა ბურჯანაძემ და გაიხსენა, როგორ შეიწყალა თვითონ ბათიაშვილი. ახლა, როცა უგულავას ადვოკატმა შეწყალებით მიმართა პრეზიდენტს, ზურაბიშვილს ფორმალურად ასეთი განცხადების საფუძველი აღარ აქვს. ამის შემდეგ რას ელით, შეიწყალებს?***



– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ მაინც გადადგამს ამ ნაბიჯს, ვინაიდან საერთაშორისო ზეწოლა არის საკმაოდ ძლიერი. მან უნდა შეიგნოს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმალიზებაზე ლაპარაკი საერთოდ არ იქნება. მან ეს უნდა გააკეთოს. ეს საჭიროა ქვეყნისთვის, ეს საჭიროა საერთაშორისო იმიჯისთვის და ასევე თავად „ქართული ოცნებისათვის“, რათა მისი მდგომარეობა და საარჩევნო გარემო იყოს ნორმალური. ამიტომ ამის იმედს ვიტოვებ, თუმცა დღეს ეჭვის საფუძველი, რასაკვირველია, არსებობს.

***– ხომ არ სარგებლობს „ქართული ოცნება“ გლობალური გამოწვევებით, რომლებიც მსოფლიოს წინაშეა და ამიტომაც ხომ არ აჭიანურებს ამ პროცესს?***

– ახლა „ქართული ოცნების“ ცუდი ქცევა მაინცდამაინც კორონავირუსს რომ დავაბრალოთ, არ იქნება სწორი, მაგრამ ზოგადად ცუდად იქცევიან. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ესეც ეხმარება.

ზოგადად, ნებისმიერ შემთხვევას იყენებენ. ეს არის ფაქტი.

# დემურ გიორხელიძე: „საქართველო ეკონომიკურად იზარალებს“

ნათია ხურცილავა

**ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მსოფლიო პანდემიის ფონზე ეკონომიკურ კრიზისზე საუბრობს.**

***– ბატონო დემურ, მსოფლიო პანდემია რა გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე?***

– არსებული პანდემიური მდგომარეობა და ეკონომიკური ზარალი ერთ სიბრტყეზე არ შეიძლება დავაყენოთ. ეს ძალიან არაგონივრული იქნება. მცდარი შეხედულების გამო მთავრობამ ევროპის ქვეყნების ჩაკეტვა დააგვიანა. ახლაც აგვიანებს ზოგიერთი ქვეყნის ჩაკეტვას. არადა, სასწრაფოდ უნდა ჩაკეტილიყო ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქამდე მივიდოდით, რადგან პრევენცია იყო საჭირო.

საბედნიეროდ, ახლა ხელისუფლება უფრო აქტიურია, უფრო გონივრულად მოქმედებს. იმედი მაქვს, ხელისუფლებასთან არანაირი დაახლოებული ბიზნესჯგუფები და ბიზნესინტერესები არ არსებობს, რადგან ყველას ყველაფერი გვერდით დარჩება, თუ პრობლემას არ მოვუარეთ.



იტალია, ფანტასტიკური ქვეყანა, გაუკაცრიელდა, საშინელი მდგომარეობაა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ეკონომიკაზე აისახება.

***– საქართველოს ეკონომიკაზე რა გავლენა ექნება?***

– საქართველო ეკონომიკურად იზარალებს. ზარალი იქნება იმ მოვლენების ადეკვატური, რომლებიც განვითარდება მსოფლიოში. ნიუ იორკისა და ლონდონის საფონდო ბირჟები ჩამოიქცა. ევროპის საფონდო ბირჟები 12-16% ჩამოიშალა. ევროკავშირის ქვეყნებიდან პირველმა ესტონეთმა განაცხადა, რომ ეკონომიკურ კრიზისშია. ყველაზე დიდი კრიზისი მაინც ევროპის ქვეყნებს ემუქრება იმიტომ, რომ ვალებში არიან გახვეული.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეკონომიკური ზარალი ახლა დასათვლელი არ არის. ეს მერე ვითვალოთ. ახლა მხოლოდ ერთადერთი საზრუნავი უნდა გვქონდეს, რომ ეპიდემია როგორმე არ გავრცელდეს.

***– რამდენად კეთილსინდისიერად იქცევა ფარმაცევტული ბიზნესი?***

– არ შეიძლება, ასეთ დროს ადამიანებისგან ფული გააკეთო. ფონდებიდან, ბიუჯეტიდან, ყველა გზით უნდა დავეხმაროთ ადამიანებს. ადამიანების უდიდეს ნაწილს შემოსავალი არ აქვს. ვიწრო წრეს აქვს ფული და მათ ღმერთმა მოახმაროთ, მაგრამ ამ დროს საჭიროა ადამიანების მიმართ სოლიდარობა. ასობით ლარი გამოკვლევებსა და წამლებში დიდი დარტყმა იქნება. ამიტომ მთავრობა ამ დროს მკაცრ, გნებავთ, დრაკონულ მეთოდებზე უნდა წავიდეს. ამას ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ვითხოვდი. ყველგან დააგვიანდათ და დააგვიანდა საქართველოს მთავრობასაც.

კარგია, რომ სამმა მთავარმა ბანკმა გამოაცხადა, რომ სამი თვით გადაავადებენ სესხებს. ეს ასეც უნდა იყოს. მე ძალიან ხისტად ვაკრიტიკებ მათ, მაგრამ, როდესაც მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას გრძნობენ და ამას იჩენენ, ეს უნდა აღვნიშნო. „ქართუ ფონდიდანაც“ კარგი საქციელია განცხადება ფულის გაღებასთან დაკავშირებით.

***– ლარის კურსზე რას იტყვით? 1 დოლარის ღირებულება 3 ლარს გადასცდა. ეს რამდენად საგანგაშოა?***

– როგორც კი ეს მოხდა, ჩემთვის გასაგები იყო, რომ სპეკულაციური ოპერაციები მზადდებოდა და ასეც მოხდა. თუმცა, არაფერი ისეთი არ ხდება მანამ, სანამ ეროვნული ბანკი არ დაკეტავს წყაროს, რომ არბიტრაჟული ოპერაციები გაკეთდეს.

ახლა შესანიშნავი დროა სპეკულაციური ოპერაციებისთვის. კერძო სექტორი ანუ ბანკები ამით ისარგებლებენ, მაგრამ აქ მთავარია, ამ ოპერაციების სტიმულირება ეროვნული ბანკის ხელშეწყობით არ მოხდეს, რომ კიდევ უფრო არ დამძიმდეს სიტუაცია.

# „კორონავირუსმა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შექმნა“



გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, კორონავირუსმა დიდი საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს. მან გადააჭარბა ქვეყნების სამხედრო დაპირისპირებებით გამოწვეულ საფრთხეებსაც. ამ კუთხით რა შეგიძლიათ თქვათ?***

– კორონავირუსი წარმოადგენს ახალი ტიპის საფრთხეს. ეს არის ასიმეტრიული საფრთხე. ამას ეწოდება ტრენდცენტრული საფრთხე, ანუ ისეთი საფრთხე, რომელიც განვითარდა ადამიანის ჩარევის გარეშე, დავუშვათ, ბუნებრივი, გარემოპირობებიდან ან სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.

არის კიდევ მეორე ვარიანტი, როდესაც ადამიანის ჩარევით არის გამოწვეული. კორონავირუსი წარმოადგენს სწორედ ასიმეტრიული საფრთხის მაგალითს და ბიოლოგიური უსაფრთხოების ახალი მიმართულებაა. კორონავირუსმა მიიღო გლობალური ტიპის მასშტაბები და შეეხო პოლიტიკურ პროცესებსა და მსოფლიო ეკონომიკასაც.

***– მსოფლიო ეკონომიკის კუთხით, შეიძლება, დიდი ეკონომიკური კრიზისიც გამოიწვიოს.***

– უკვე გამოიწვია. საფონდო ბირჟებზე გამოიწვია უკვე აქციების ვარდნა. დოლარის კურსმა, ფაქტობრივად, აიწია, ახლა, მით უმეტეს, როდესაც ამერიკაში საგანგებო სიტუაცია შემოიღეს. ამანაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური რყევები და სერიოზული გართულებები და დაიწყება ინფლაცია.

ჩინეთში ჩემს მეგობრებს ვესაუბრე. იქ პანიკა, ფაქტობრივად, დასრულებულია. ჩინეთი უკვე გადადის ნორმალური განვითარების პარამეტრებზე. ისინი სამუშაო პირობებს უბრუნდებიან.

ამიტომ ჩინეთის ეკონომიკამ, შეიძლება, დიდი წვლილი შეიტანოს მსოფლიო ეკონომიკაში. ამერიკის ეკონომიკა იყო მსოფლიო ეკონომიკის განმსაზღვრელი. ახლა, შეიძლება, ჩინეთის ეკონომიკამ ჩაანაცვლოს, თუ ამერიკის ეკონომიკა ჩაიკეტა (საგანგებო სიტუაციებია).

***– ამ დროს ჩინეთიდან მოხდა ვირუსის გავრცელება და უფრო მოსალოდნელი იყო ჩინეთის ეკონომიკის ჩავარდნა.***

– კი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ჩინეთმა მიიღო პირველი დარტყმა და შეძლო პირველი დარტყმის, გარკვეულწილად, გადატანა. ჩინეთი უკვე გამოდის კრიზისიდან. ჩინური გზა შეიძლება იყოს მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის.

***– ანუ ჩინეთმა კრიზისი უკვე დაძლია?***

– კრიზისი უკვე დაძლეულია. ჩინეთის საზოგადოება გამოდის რყევებიდან და პანიკური სიტუაციიდან.

გლობალიზაციამ მიიღო სერიოზული დარტყმა. ლიბერალური იდეოლოგია დაღმა მიექანება. გლობალიზაციის პირობებში გაიხსნა საზღვრები, ყველანაირი საზღვარი მოშლილი იყო. ამიტომ კორონავირუსმა გამოიწვია ძველ ნიშნულზე დაბრუნება.

ჩაიკეტა საზღვრები, შეიზღუდა გადაადგილება. ფაქტობრივად, სახელმწიფოები დაუბრუნდნენ ეროვნული ინტერესების კონცეფციას და სახელმწიფოები თვითგადარჩენის სისტემაზე გადავიდნენ.

ამიტომ კორონავირუსმა შექმნა ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და მსოფლიო გლობალიზაციის დასასრულისკენ მიექანება.

***– ამ სიტუაციაში ევროინტეგრაციის საკითხი როგორ გადაწყდება?***

– ეს ბრექსიტის თემაა. არ არის გამორიცხული, გარკვეულ ქვეყნებში ევროინტეგრაციის სურვილი შენელდეს. კორონავირუსმა და ბრექსიტმა აჩვენა ევროინტეგრაციის პარამეტრები.

# ჯემალ გამახარია: „გალის მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა შეექმნა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**

***– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში კორონავირუსთან დაკავშირებით რა ხდება?***

– აფხაზეთში კორონავირუსი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ, მოგეხსენებათ, ზომები ყველამ უნდა მიიღოს, ოკუპირებული ტერიტორია იქნება თუ არაოკუპირებული. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებს, მათი გადაადგილების უმიზეზოდ შეზღუდვისთვის გამოიყენება. ვშიშობ, ამჯერადაც ასე ხდება.

***– ანუ ისევ ქართველები აღმოჩნდებიან რთულ ვითარებაში?***

– წინააღმდეგი არავინ არის, რომ იქ რაღაც ზომები მიიღონ. ოკუპანტმაც უნდა მიიღოს ზომები, რომ საშინელი ვირუსი არ გავრცელდეს, მაგრამ რატომღაც მეორე მხარეს – რუსეთის მხარეს შედარებით თავისუფალი მიმოსვლაა, აქეთ გამშვები პუნქტები კი იკეტება. რეალურად, შეზღუდვები ქართველებისთვის არის დაწესებული, რაც გარკვეულ უკმაყოფილებასა და შიშს იწვევს.

გალის რაიონის მოსახლეობას ისედაც უამრავი პრობლემა აქვს და დამატებით გადაადგილების პრობლემა შეექმნებათ. გადაწყვეტილია აქეთ მიმოსვლის ჩაკეტვა. ამიტომ აქეთ გადმოსული ადამიანი სახლში ვერ დაბრუნდება. ასეთი რამ საერთოდ არ გაგონილა, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე თურმე შესაძლებელი ყოფილა.

***– ე.ი. რუსეთისკენ გზა გახსნილია.***

– რუსეთისკენ გზა გახსნილია. აცხადებენ, ვინც შემოდის, ვამოწმებთო. როგორც ამბობენ, გარკვეული კონტროლია დაწესებული, მაგრამ რუსეთისკენ მიმოსვლა შეფერხებულიც კი არ არის, თავისუფლად მიდი-მოდიან.

***– კორონავირუსი რუსეთშიც ხომ არის დაფიქსირებული, მით უმეტეს, იმხელა ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, უფრო ძნელია ვირუსის მართვა. რუსეთიდან უფრო შეიძლება შევიდეს ვირუსი, ვიდრე ჩვენი მხრიდან.***

– რა თქმა უნდა. რუსები ევროპის ყველა ქვეყანაში დადიან, მათ შორის, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, სადაც ვირუსი მასობრივად არის გავრცელებული. ამიტომ პოტენციური საფრთხე არსებობს.

დიდი საფრთხე არსებობს, რომ კორონავირუსი რუსეთიდან აფხაზეთშიც გავრცელდეს, რადგან ფსოუზე რუსეთის საზღვარი არ არის ჩაკეტილი.

***– როგორ მოახერხებენ აქეთ გადმოსული ქართველები უკან, სახლში დაბრუნებას?***

– მათი დაბრუნება ძალიან დიდი პრობლემაა. ეს ისევ და ისევ ადამიანის უფლებების დარღვევაა. ცხადია, ოკუპანტები არ იზრუნებენ ამ ადამიანების საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე.

***– გალში მცხოვრებ ქართველებთან რამენაირი კავშირი ხომ არ გქონიათ? რა მდგომარეობაში არიან, სურსათი თუ აქვთ?***

– შეიძლება, გალის მცხოვრებლებს სურსათის გარკვეული მარაგი ჰქონდეთ, მაგრამ, ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენ ხანს გაგრძელდება გადაადგილების შეზღუდვა. ასე შეიძლება სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემა წარმოიშვას.

***– აფხაზებს ჩვენკენ გამშვები პუნქტის ჩაკეტვა აწყობთ?***

– აწყობთ თუ არა, აფხაზეთი არის ოკუპირებული ტერიტორია. აფხაზები არ წყვეტენ, სად ჩაკეტონ ეწ. საზღვარი და სად – არა. აფხაზეთში ყველაფერს ოკუპანტი ახორციელებს.

***– ამიტომ გკითხეთ, აფხაზებს უნდათ თუ არა ჩვენთან გზის ჩაკეტვა-მეთქი.***

– თქვენ იცით, რომ ძალიან ბევრი აფხაზია გადმოსული ჩვენ მხარეს და თბილისში იმყოფება. დარწმუნებული ვარ, აფხაზებს დააბრუნებენ, ქართველებს კი საკუთარ სახლებში არ შეუშვებენ.



***– აფხაზები სამკურნალოდ არიან გადმოსული თუ სავაჭროდ?***

– სავაჭროდაც არიან და სამკურნალოდაც. უფრო მეტად სამკურნალოდ მოდიან. ისეთი კვირა არ გავა, აფხაზებთან შეხვედრა არ მომიწიოს. სამი დღის წინ მქონდა ორ აფხაზთან შეხვედრა. ძალიან ხშირად მაქვს ასეთი შეხვედრები.

***– როგორი განწყობები აქვთ, როგორ გხვდებიან?***

– ადამიანების განწყობა, რომლებიც გამოდიან ენგურს აქეთა საქართველოში, რომლებიც ითხოვენ მოქალაქეობას, სავსებით ნორმალურია. მოქალაქეობის მიღების მსურველთა რაოდენობა იზრდება და იზრდება. ხვალ და ზეგ კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ ჩვენ გვინდა, ამ ადამიანებთან მჭიდრო კავშირი გვქონდეს.

## საქართველოსა და რუსეთს შორის მოქალაქეთა გადაადგილება ჩერდება

კორონავირუსის გავრცელების საფრთხის პრევენციისთვის საქართველოსა და რუსეთს შორის მოქალაქეთა გადაადგილება დროებით ჩერდება.

გუშინ, 15 მარტს, დილით, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას დავალებით, პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე ტელეფონით ესაუბრა საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე ორმხრივი დიალოგის (ე.წ. პრაღის ფორმატი) ფარგლებში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელ გრიგორი კარასინს.

საუბრის დროს განიხილეს საკითხი მიმდინარე წლის 16 მარტიდან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოქალაქეთა გადაადგილების დროებით შეჩერების შესახებ.

ამასთან, აღინიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არ გავრცელდება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც გამოთქვამენ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების სურვილს.

შეზღუდვები არ გავრცელდება სატვირთო გადაზიდვებზე.

– მიზეზი ნათელია. პრემიერ-მინისტრისგან მივიღე ასეთი დავალება. დავუკავშირდი ჩემს კოლეგას, რომელთანაც მაქვს შეხვედრები პრაღის ფორმატის ფარგლებში. ის გახლავთ დელეგაციის ხელმძღვანელი. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა შეხვედრა 20 მარტს, მაგრამ გადაიდო გასაგები მიზეზების გამო. ვისაუბრეთ, რომ შეზღუდვები დაწესდება დროებითი სახის. შეჩერდება მიმოსვლა.

რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, ბუნებრივია, ექნებათ საშუალება, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, ასევე ჩვენს მოქალაქეებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ექნებათ საშუალება, რომ დაბრუნდნენ საქართველოში. ეს შეზღუდვა ამოქმედდება 16 მარტიდან, არ გავრცელდება სატვირთო გადაზიდვებზე, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას.

# თბილისის სააპელაციო სასამართლომ შ.ა.-ს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა




თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2 პოლიციელის სიცოცხლის მოსპობისა და 7 პოლიციელის სიცოცხლის მოსპობის მცდელობისთვის მსჯავრდებულ შ.ა.-ს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და მსჯავრდებული შ.ა. ბორჯომში პოლიციელ გ.ბ-ს სიცოცხლის მოსპობისა და პოლიციელ გ.მ-ს სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე (სსკ-ის 3531-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 19, 3531-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების ფაქტზე (236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი), ქ.თბილისში, პოლიციელ ბ.მ-ს სიცოცხლის მოსპობისა და პოლიციელების ვ.გ-ს და ვ.გ-ს სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე, (3531-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 19, 3531-ე მუხლის მე-3 ნაწილით), 2015 წლის 5 აპრილს, ქ.თბილისში პოლიციელების ლ.გ-ს, მ.ს-ს, შ.ჯ-ს და ლ.ჩ-ს სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ფაქტზე (19,3531-ე მუხლის მე-3 ნაწილით), პისტოლეტის, საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ შ.ა.-მ 2015 წლის 23 იანვარს ქ. ბორჯომში, პოლიციის თანამშრომლებს გ.ბ-მ და გ.მ-მ, რომლებმაც ის შემოწმების მიზნით შეაჩერეს, ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელიც უკანონოდ შეიძინა და ატარებდა, სასიკვდილოდ დაჭრა გ.ბ., ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა გ.მ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2015 წლის 4 აპრილს, ძებნილმა შ.ა.-მ ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლების – ვ.გ-ს, ვ.გ-ს და ბ.მ-ს მიმართულებით, რომლებმაც იგი შემოწმების მიზნით შეაჩერეს ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად ბ.მ. გარდაიცვალა, ხოლო ვ.გ-მ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს.

2015 წლის 5 აპრილს, გამთენიისას, დაახლოებით 6 საათზე, შ.ა-ს ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით გატარებული სამძებრო ღონისძიებებისას, იგი შემჩნეულ იქნა ქ.თბილისში, წულუკიძის ქუჩის მიმდებარედ, რა დროსაც სამართალდამცავების დანახვისთანავე მან კვლავ გახსნა ცეცხლი პოლიციელების – ლ.გ-ს, მ.ს-ს, ლ.ჩ-ს და შ.ჯ-ს მიმართულებით და კვლავ შეძლო მიმალვა.

2015 წლის 10 აპრილს, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად შ.ა. სამართალდამცველებმა ბორჯომში, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში დააკავეს. დაკავებისას ამოღებულ იქნა „გლოკი"-ს და „ПБ 6П9"-ს სისტემის პისტოლეტები, საბრძოლო ვაზნები და რგდ-5 ტიპის ხელყუმბარა.

სააპელაციო სასამართლომ შ.ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ზუგდიდში მამაკაცი დაჭრეს




ზუგდიდში მამაკაცი დაჭრეს.

ის რეფერალურ ჰოსპიტალში 13 მარტს შეიყვანეს. კლინიკის სამედიცინო მენეჯერ სულხან ორჟონიას თქმით, მას ყელის არეში, სავარაუდოდ, ბასრი საგნით ჰქონდა მსუბუქი ჭრილობა მიყენებული.

პაციენტი საავადმყოფოდან უკვე გაეწერა.

პოლიციამ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

უწყების ცნობით, დაკავებულია 1965 წელს დაბადებული პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული გ.ჩ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ ზუგდიდში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1985 წელს დაბადებული მ.ჯ. ბასრი საგნის გამოყენებით დაჭრა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# პოლიციამ თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში 42 ადამიანი გადაიყვანა



შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მასშტაბით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს აქტიურად ახორციელებს.

გუშინ, 15 მარტს, ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის კიდევ 20 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

თბილისში, მცხეთაში, კახეთის, იმერეთის, გურიის და აჭარის რეგიონებში მოქალაქეები, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, საკარანტინო ზონაში იძულებით არიან გადაყვანილი.

თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში, იძულების წესით, ჯამში, 42 ადამიანია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ აღნიშნულ რეგულაციებს.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება



საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-სა და სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში კორონავირუსის პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დასუფთავდა 112-ის სრული შიდა და გარე პერიმეტრი, ოპერატორთა ცენტრალური დარბაზი, შეხვედრების და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები.

სპეციალური ხსნარებით დამუშავდა განსაკუთრებულ დეპარტამენტის სამუშაო სივრცე, შიდა ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები უკვე ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა ფილიალში, ასევე საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის სამუშაო სივრცეებში. სპეციალური ხსნარით დამუშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქვედანაყოფებსა და საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტებში კორონავირუსის პრევენციისა და პროფილაქტიკის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა.

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების სტრუქტურულ ერთეულებში მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად ჩატარდება.

# მომსახურების სააგენტომ ოპერატორთა სამუშაო მაგიდებზე მინის დამცავი ბარიერები დაამონტაჟა



საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით, მოქალაქეთა მომსახურების სივრცეებში ოპერატორთა სამუშაო მაგიდებზე მინის დამცავი ბარიერები დაამონტაჟა.

მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალურ ფილიალში მოქალაქეთა მისაღებ სამუშაო მაგიდებზე დამცავი მინები უკვე დამონტაჟდა. კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში დამცავი ბარიერების დამონტაჟება უახლოეს დღეებში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში, ისევე როგორც უწყების სხვა დეპარტამენტებში, რეგულარულად მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები. სწორედ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილი სადეზინფექციო სამუშაოების გამო, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეული 14, 17 და 19 მარტს, წყვეტს სამუშაო რეჟიმს და მოქალაქეებს ვერ მოემსახურება.

# ერთიანი მომსახურების ცენტრი მოქალაქეთა დისტანციურ მომსახურებაზე გადადის



ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად ერთიანი მომსახურების ცენტრი გადადის მოქალაქეთა დისტანციურ მომსახურებაზე.

16 მარტიდან ერთიანი მომსახურების ცენტრებში (თბილისი, რუსთავი) არსებული 50-მდე სერვისით სარგებლობას მოქალაქეები შეძლებენ სატელეფონო ცენტრთან 241 42 42 დაკავშირებით და ასევე ელექტრონული ვებ გვერდის police.ge მეშვეობით.

**საპატრულო პოლიციის ჯარიმებთან დაკავშირებული დისტანციური სერვისები:**

- ჯარიმებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გადამოწმება-მიღება
- ადმინისტრაციული ჯარიმების გასაჩივრება
- ქვითრის გადაუხდელობის გამო მართვის უფლების შეჩერების ჯარიმით შეცვლა
- ალკოჰოლური სიმთვრალის საფუძველზე მართვის უფლების შეჩერების ჯარიმით შეცვლა
- ჯარიმაზე ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება
- გადახდილი ჯარიმის სტატუსის შეცვლა
- ბაზაში კორექტირების შეტანა (ქვითრის დინების ვადის შეჩერება და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო წარმოების შეწყვეტა)
- ცნობების მიღება
- მართვის უფლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმება

**საპატრულო პოლიციის ნებართვებთან დაკავშირებული დისტანციური სერვისები:**

- არა გაბარიტული/ზენორმატიული სატრანსპორტო საშუალების მოძრაობაზე ნებართვის მიღება
- გზებზე სამუშაოს წარმოებაზე ნებართვის მიღება
- სპეცტექნიკის განთავსებაზე ნებართვის მიღება
- გათხრით სამუშაოებზე ნებართვის მიღება
- სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობაზე ნებართვის მიღება
- სპეციალური სიგნალების დაყენება/გამოყენებაზე ნებართვის მიღება
- სადაზღვევო კომპანიებზე საქმისწარმოების მასალის მიღება
- რეაგირების ოქმის მიღება
- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის საქმისწარმოების მასალის მიღება
- ვიდეო ჩანაწერის მიღება
- საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

**ჯარიმების სტატუსის შესამოწმებლად და ჯარიმის გადასახდელად შეგიძლიათ ეწვიოთ police.ge-ს.**

**საკონტაქტო ინფორმაცია: 2414242.**

# 100 წლის ქალმა ციხეში თავი გაშიშვლების გამო ამოყო



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ როკსბოროში 100 წლის ქალბატონი მისი დაბადების დღეს გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

რუტ ბრაიანტს კანონი არ დაურღვევია, მაგრამ სურდა, რომ სიკვდილამდე ციხის საკანში ამოეყო თავი. ამ ოცნების ასრულებაში მას ოლქის შერიფის ოფისი დაეხმარა. მისი იუბილეს წინ ხანდაზმულთა სახლში შერიფის თანაშემწეები მივიდნენ და მოხუც ქალბატონს დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს ულირსი საქციელის გამო. მათ ქალს ხელბორკილები დაადეს და პოლიციის მანქანაში მოათავსეს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალს სთხოვეს, სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწია, ბრაიანტმა შერიფის ერთ-ერთ თანაშემწეს ალიყური მაინც უთავაზა.

– ნუ ირტყმევინები, მუხლი მაწუხებს, – უთხრა შერიფის თანაშემწემ.

– მე ორივე მუხლი მაწუხებს, – მიუგო ქალმა და პოლიციის მანქანაში ჩაჯდა.

ის ციხეში სირენებისა და ანთებული მაშუქების თანხლებით მიიყვანეს. ამ მგზავრობის შემდეგ დღეგრძელმა ქალბატონმა შენიშნა, რომ პოლიციელებს ნამდვილი დამნაშავეების დაჭერა მართებთ, ანუ იმ ადამიანების, რომლებიც მოუხერხებელ ავტომობილის სავარძლებს აკეთებენ.

ციხეში ბრაიანტს სურათი გადაუღეს და ნარინჯისფერი საპატიმრო სამოსი მისცეს წარწერით: „პერსონის ოლქის ციხე". მან საკანში რამდენიმე წუთი გაატარა, შემდეგ კი ხანდაზმულთა სახლში დაბრუნდა, სადაც საიუბილეო ტორტი ელოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „ჯერ ხელი დაიბანე და ხმა შემდეგ მიეცი“

## საფრანგეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა




კორონავირუსის საფრთხის მიუხედავად, გუშინ, 15 მარტს, საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი ორგანოების არჩევნები გაიმართა.

საარჩევნო უბნებზე განსაკუთრებული სანიტარიული უსაფრთხოების ზომები იყო მიღებული: ამომრჩეველი ხმის მიცემის წინ ხელს იბანდა. უბანზე მას მადეზინფიცირებელი გელი დახვდა, იატაკზე სპეციალური ნიშნულები იყო მოთავსებული, რათა ამომრჩეველი ერთმანეთს 1 მეტრზე მეტად არ მიახლოებოდა.

ხელისუფლებამ ამომრჩეველს მოუწოდა არჩევნებზე საკუთარი პასტებით მოსულიყვნენ. ამასთან, რეგისტრაციის გავლის დროს მოქალაქეები დამცავ ნიღბებს იხსნიდნენ.

მანამდე კი საფრანგეთში ყველა რესტორანი, კაფე, კინოთეატრი და კლუბი დაიხურა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარ ფილიპმა განაცხადა, რომ საფრანგეთი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ გაზრდის სოციალურ დისტანციას.

– ბაზრები და კვების ობიექტები, აფთიაქები, ბენზინგასამართი სადგურები, ბანკები, გაზეთებისა და თამბაქოს მაღაზიები დარჩება ღია, – აღნიშნა მან.

პრემიერის განცხადებით, ღია იქნება რელიგიური ორგანიზაციები, თუმცა რელიგიური ცერემონიები და შეკრებები გადაიდება.

– ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც უყვარს შეკრებები, მხიარული ხალხი, ხალხი, რომელსაც ერთად ცხოვრება უყვარს... შესაძლოა, კიდევ უფრო მეტადაც კი, როდესაც შიში ვრცელდება.

ვხედავთ ძალიან ბევრ ადამიანს კაფეებსა და რესტორნებში. ჩვეულებრივ დროს ეს სიამოვნებას მანიჭებდა, რადგან ეს არის საფრანგეთი, რომელიც ყველას გვიყვარს.... მაგრამ მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ეს არ არის ის, რაც უნდა გავაკეთოთ, – დასძინა ფილიპმა.

# ნეთანიაჰუს სასამართლო კორონავირუსის გამო 2 თვით გადაიდო

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს სასამართლო პროცესი, რომელიც სამშაბათს უნდა დაწყებულიყო, კორონავირუსის გამო მაისის ბოლომდე გადაიდო.

როგორც ცნობილია, ისრაელში კორონავირუსით 100 ადამიანია ინფიცირებული, შესაბამისად, იუსტიციის მინისტრმა სასამართლო სისტემაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ნეთანიაჰუს საქმის სასამართლო განხილვა 24 მაისს დაიწყება.

ცნობისთვის, ისრაელის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს წინააღმდეგ კორუფციის საქმეზე სასამართლო საქმის განხილვა 17 მარტს უნდა დაწყებულიყო.



ნეთანიაჰუ პირველი პრემიერია ქვეყნის ისტორიაში, რომელიც სასამართლოს წინაშე წარდგება. მას სამი საქმე ედება ბრალად, მათ შორის არის მექრთამეობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და თაღლითობა.

პრემიერი ყველა ბრალდებას უარყოფს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ნეთანიაჰუს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება მექრთამეობისთვის, ხოლო მაქსიმუმ სამი წელი – თაღლითობისა და ნდობის ბოროტად გამოყენებისთვის.

ორი კვირით ადრე კი, 2 მარტს, ქვეყანაში მესამე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია დანიშნული.

# ერაყი: თავდასხმა ამერიკელების ბაზაზე

ბაღდადის მახლობლად უცნობმა პირებმა ამერიკელთა ბაზას რაკეტები დაუშინეს.




დაჭრილია ბაზაზე მყოფი რამდენიმე ერაყელი ჯარისკაცი. მომხდართან დაკავშირებით ერაყის არმიის სარდლობამ განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ამერიკელებმა ერაყის პარლამენტის რეზოლუცია უნდა შეასრულონ და ქვეყანა დატოვონ.

# საბერძნეთის ხელისუფლებამ ეკლესიას მსახურების შეზღუდვა სთხოვა

საბერძნეთის მთავრობამ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს საეკლესიო მსახურების შეზღუდვა სთხოვა.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კირიაკოს მიცოტაკისი ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოს იერონიმეს დაუკავშირდა და სთხოვა, რომ ტაძრები ღია იყოს მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანებს, კერძოდ, შეეძლოთ იქ თაყვანისცემისთვის შესვლა და შესრულდეს მხოლოდ აუცილებელი საეკლესიო საიდუმლოებები, რომლებსაც ადამიანთა მინიმალური რაოდენობა დაესწრება.

საკითხს დღეს, 16 მარტს, ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მუდმივი სინოდის სხდომაზე განიხილავენ.

მანამდე ცნობილი გახდა ელადის ეკლესიის სინოდის განცხადება, რომ საღმრთო ევქარისტია და ზიარება ერთი ბარძიმიდან ვერ გახდება კორონავირუსის გადადების მიზეზი.

ამან საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკა გამოიწვია.

11 მარტიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მკაცრი საპროფილაქტიკო ზომების შესახებ გამოაცხადა და მოითხოვა, შეიზღუდოს რელიგიური შეკრებები და აღნიშნა, რომ საეკლესიო ხელმძღვანელობის მხარდაჭერის მოლოდინშია.

ამის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ განაცხადა, რომ საბერძნეთის ეკლესია მეცნიერებას არ ეწინააღმდეგება, პასუხისმგებლობით ეკიდება კორონავირუსის საპროფილაქტიკო ზომებს და სრულად ასრულებს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებებს, მაგრამ საბერძნეთის ტაძრებში მსახურება არ შეწყდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## 49 წლის ქალმა ძიძობას თავი დაანება და ეროტიკული ფოტოების გამოქვეყნებით გამდიდრდა



შოტლანდიელმა ქალბატონმა ტონი გალოუეიმ ძიძად მუშაობას თავი დაანება და საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებით გამდიდრდა.

49 წლის ქალის თქმით, მენოპაუზის სიმპტომების გამო იძულებული გახდა, თავისი ადრინდელი სამსახურისთვის თავი დაენებებინა, თუმცა მალე შემოსავლის მიღების სხვა გზას მიაგნო და მნიშვნელოვანი თანხის გამომუშავება შეძლო. კერძოდ, გალოუეიმ ინტერნეტში სპეციალურ პლატფორმაზე საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების გაყიდვა დაიწყო.

ამ დროისთვის, იმისთვის, რომ შოტლანდიელი ქალბატონის ფოტოსურათები ნახონ, ხელმომწერები ყოველთვიურად 15 ფუნტ სტერლინგს იხდიან, ზოგიერთი მათგანი კი შიშველი მოდელის ექსკლუზიურ კადრებში სოლიდურ თანხას იხდის.

– თავდაპირველად საკუთარ ეროტიკულ ფოტოებს ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ვაქვეყნებდი. ხელმომწერთა მხრიდან დიდმა დაინტერესებამ მიბიძგა იმისკენ, რომ სხვა ვებგვერდი მომეძებნა საკუთარი სექსუალური ფოტოსურათების გამოსაქვეყნებლად, – განაცხადა შოტლანდიელმა ქალბატონმა.

აღსანიშნავია, რომ გალოუეი 2019 წლის მაისში ლივერპულში სწორედ მოდელის კარიერის დასაწყებად გადავიდა საცხოვრებლად.

– საკმარისი თანხა გამოვიმუშავე და შემიძლია, ჩემს ამ საქმიანობას მუდმივი სამსახური ვუწოდო, – დაასკვნა ქალმა.

## ლეოპარდისგან თავის გადასარჩენად ხეზე ამძვრალ ქალს დენმა დაარტყა



ინდოეთის უტარაკხანდიის შტატში ლეოპარდის შიშით ქალები ხეზე აძვრნენ, რის შედეგადაც ერთ-ერთ მათგანს დენმა დაარტყა.

ორი ქალი ტყეში გამხმარი ბალახის შესაგროვებლად გაემართა და გზაში ლეოპარდი შენიშნეს. მტაცებლისგან თავის გადასარჩენად ისინი იმ ხეზე აძვრნენ, რომლის მახლობლადაც ელექტროგადამცემი ხაზი გადიოდა.

ერთ-ერთი ქალი დენის მავთულს შეეხო და დენის დარტყმა მიიღო. ის ცოცხალი გადარჩა, თუმცა დამოუკიდებლად ხიდან ჩამოსვლა ველარ შეძლო. მას პოლიციელების დახმარება დასჭირდა, რომლებმაც დენი გათიშეს, მავთულები დააცალკევეს და ქალს ძირს ჩამოსვლაში დაეხმარნენ.

დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაბალი ძაბვის გამო ქალი დენის მსუბუქი დარტყმით გადარჩა.

## მეთევზემ რეკორდული ზომის ორაგული დაიჭირა

ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატის მკვიდრმა ტბაში უზარმაზარი ზომის ტბის ორაგული დაიჭირა.

58 წლის ტომას ნაიტი სათევზაოდ ტბაზე 25 თებერვალს წავიდა. გარკვეული დროის შემდეგ მეთევზემ შენიშნა, რომ რაღაც დიდი მისი ანკესის ძუას წყლის სიღრმისკენ ექაჩებოდა და მალე ტბიდან უზარმაზარი, 17 კილოგრამიანი ორაგული ამოიყვანა.

როგორც კი საკუთარი ნადავლის ზომა დაინახა, ნაიტმა მაშინვე შტატის სათევზაო მეურნეობების დეპარტამენტში დარეკა. ტბაზე მისულმა ექსპერტებმა ნადავლი გაზომეს, აწონეს და გაარკვიეს, რომ ორაგული თითქმის 17 კილოგრამს იწონიდა. მათ ნაიტს აცნობეს, რომ მისი ნანადირევი შტატის ახალ რეკორდს წარმოადგენს. ბოლოს ამ სახეობის ასეთი დიდი თევზი 1958 წელს დაიჭირეს და მისი წონა მხოლოდ 12 კილოგრამს შეადგენდა.

ნაიტმა აღიარა, რომ ის ძალიან გახარებულია თავისი ნადავლის რეკორდული ზომების გამო, ვინაიდან თევზაობა მის საყვარელ საქმიანობას წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი ცხოვრების თითქმის 25 წელი მიუძღვნა. მისი თქმით, ის დაჭერილი ორაგულის მეგობრისთვის მიყიდვას აპირებს, რომ შემდეგ მან მისგან ფიტული დაამზადოს და საკუთარ რესტორანში გამოფინოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ვესტ ჰემის ხელმძღვანელობა ჩემპიონატის განულებას ითხოვს

ინგლისის პრემიერ ლიგა 3 აპრილამდე შეწყდა, მაგრამ ვესტ ჰემის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე კარენ ბრეიდი ინიციატივით გამოდის, რომ მიმდინარე სეზონი კორონავირუსის გამო გაუქმდეს და გუნდების მიერ დაგროვილი ქულები განულდეს.

ბრიტანულ მედიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ მიმდინარე სეზონის ჩემპიონად პირველადგილოსანი ლივერპული გამოცხადდეს, მაგრამ „ჩაქუჩების“ ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ თუ კორონავირუსის გავრცელება სწრაფად გაგრძელდება და ვითარება რადიკალურად არ შეიცვლება, 2019-20 წლების სეზონი უნდა გაუქმდეს.

**კარენ ბრეიდი:**

– პრემიერ ლიგამ გადაწყვიტა გათამაშება 3 აპრილამდე შეეწყვიტა. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ტურნირი განახლდება, მაგრამ ეს უკვე ოცნების საგანია. თუ ჩემპიონატის განახლება ვერ მოხერხდება და კორონავირუსთან მიმართებაში ვითარება რადიკალურად არ შეიცვლება, ერთადერთი სამართლიანი და გონიერი გადაწყვეტილება ტურნირის გაუქმება და ქულების განულება იქნება. არავინ იცის, რა მოხდებოდა, თუ ჩემპიონატში დარჩენილი მატჩები გაიმართებოდა...



მომდევნო კვირაში პრემიერ ლიგის კლუბები საგანგებო შეხვედრაზე არსებულ ვითარებას განიხილავენ. ვესტ ჰემის წარმომადგენლის განცხადება განსაკუთრებით დიდ აგრესიას ლივერპულისა და ლიდსის ქომაგებში იწვევს, რადგან მერსისაიდულ კლუბს პრემიერ ლიგის არსებობის 30-ე წელს უდიდესი შანსი აქვს სეზონი ჩემპიონობით დაასრულოს, ხოლო ლიდსის ქომაგები წლებია ელიან დღეს, როცა მათი საყვარელი გუნდი პრემიერ ლიგაში დაბრუნდება. ჩემპიონშიფში 37 ტურის შემდეგ მარსელო ბიელსას ლიდსი 71 ქულით პირველ ადგილზეა და პრემიერ ლიგაში აღზევების მთავარი კანდიდატია.

რაც შეეხება ვესტ ჰემს, გუნდი მე-16 ადგილზეა და, გასავარდნ ზონაში მყოფი ბორნმუთის მსგავსად, მათ ანგარიშზეც 27 ქულაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რუგანი, გაბიადინი, გობერი...

## ვინ არიან კორონავირუსით დაავადებული სპორტსმენები

ახალმა ეპიდემიამ, კორონავირუსმა, თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. მეტიც, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსი უკვე პანდემიად გამოაცხადა.

კორონავირუსი შეეხო სპორტსაც და პრაქტიკულად ყველა ღონისძიება გაურკვეველი ვადით გადაიდო ან, უბრალოდ, გაუქმდა.

ცნობილია ამ მომენტისთვის ყველა სპორტსმენი, რომლებსაც კორონავირუსი დაუდასტურდათ...

ტურინის იუვენტუსის 25 წლის იტალიელი მცველი დანიელე რუგანი ერთ-ერთი პირველი სპორტსმენია, რომელსაც დადებითი პასუხი მიუვიდა.

მედიაში გამოჩნდა ფოტო, რომელიც ინტერთან მატჩის შემდეგ არის გადაღებული, სადაც რუგანი გუნდელებთან ერთად ზეიმობს. ამ მომენტში იტალიელი ფეხბურთელი უკვე ვირუსის მატარებელი იყო.

შედეგად, მთელი იუვენტუსი კარანტინშია და ვირუსზე შემოწმებას გადის.

გენუის სამპდორიას თავდამსხმელ მანოლო გაბიადინის კორონავირუსი 12 მარტს დაუდასტურდა. ინფორმაცია თავად კლუბმა მალევე დაადასტურა, ფეხბურთელმა კი ქომაგებს სოციალური ქსელიდან მიმართა:

– კორონავირუსი აღმომაჩნდა. მინდა უამრავი წერილისთვის, რომელიც თქვენგან მივიღე, მადლობა გადაგიხადოთ. ასევე მსურს გაცნობოთ, რომ თავს კარგად ვგრძნობ და არ ინერვიულოთ. წესები დაიცავით, სახლში დარჩით და ყველაფერი კარგად იქნება.

გაბიადინი, რომელსაც კორონავირუსის დიაგნოზი დაუსვეს, სამპდორიაში ეპიდემიით დაავადებული ერთადერთი ფეხბურთელი არ აღმოჩნდა – დადებითი ტესტი ჩააბარეს მცველმა ომარ კოლიმ, ნახევარმცველებმა ოლბინ ეკდალმა და მორტენ ტორსბიუმ და ასევე თავდამსხმელებმა ანტონიო ლა გუმინამ და ფაბიო დეპაოლიმ.



ფლორენციის ფიორენტინას 20 წლის სერბ შემტევს დუშან ვლაჰოვიჩს კორონავირუსი 13 მარტს დაუდასტურდა. ვლაჰოვიჩი ასიმპტომურია და საკუთარ სახლშია იზოლირებული.

კლუბმა დროულად იმოქმედა, გაააქტიურა კანონით მოთხოვნილი ყველა პროცედურა, რომელიც იზოლაციასთან დაკავშირებით იყო მოთხოვნილი. ყველა იმ პირს ჩაუტარდება გამოკვლევა, რომელთაც ვლაჰოვიჩთან კონტაქტი ჰქონდათ.

შედეგად, ფიორენტინას კიდევ 2 ფეხბურთელს კორონავირუსი დაუდგინდა. იტალიური მედიის ცნობით, ინფიცირებულები პატრიკ კუტრონე და ჰერმან პეცელა არიან.

კორონავირუსი ლონდონის არსენალის ესპანელ მწვრთნელ მიკელა არტეტასაც დაუდასტურდა.

არტეტამ მოგვიანებით საზოგადოებასაც მიმართა და სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ ის თავს უკეთ გრძნობს:

– მადლობა მხარდაჭერისთვის, თავს უკეთ ვგრძნობ. კორონავირუსი უდიდესი და უპრეცედენტო გამოწვევაა. ახლა თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია. გაითვალისწინეთ რეკომენდაციები. დიდი მადლობა პრემიერ ლიგას სწორი გადაწყვეტილების მიღების გამო.

არტეტას შემდეგ პრემიერლიგაში კორონავირუსის მორიგი მატარებელი ჩელსის ფორვარდი კალუმ ჰადსონ-ოდოი აღმოჩნდა.

არსენალის სამწვრთნელო შტაბისა და ძირითადი გუნდის წევრები კარანტინში იმყოფებიან, ისევე როგორც ჩელსიში მომუშავე პერსონალი და ფეხბურთელები, რომლებსაც ჰადსონ-ოდოისთან ახლო კონტაქტი ჰქონდათ.

დაავადება აღმოაჩნდა მე-2 ბუნდესლიგის კლუბ ჰანოვერის ცენტრალურ მცველ ტიმო ჰუბერს. ფეხბურთელი უკვე კარანტინში იმყოფება. სავალდებულო შემოწმება გაიარეს გუნდის სხვა ფეხბურთელებმა, სამწვრთნელო შტაბის წევრებმა და თანამშრომლებმა. შედეგად კორონავირუსი დაუდგინდა კიდევ ერთ ფეხბურთელს მარცხენა მცველ იანეს ჰორნს. ორივე ფეხბურთელი კარანტინში იმყოფება და მკურნალობის პროცესს გადის. ასევე, მოწმდება ყველა ადამიანი ვისაც მასთან ბოლო დღეებში შეხება ჰქონდა.

კორონავირუსი აღმოაჩნდა მადრიდის რეალის კალათბურთელ ტრეი ტომპკინსს, რომლის თანაგუნდელები და კლუბის პერსონალი ამჟამად სრულ იზოლაციაში არიან. რადგანაც საკალათბურთო და საფეხბურთო კლუბებს ერთი ბაზა აქვთ, კარანტინში ზინედინ ზიდანის გუნდიც მოათავსეს.

კორონავირუსი მოედო ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციასაც. იუტა ჯაზის ფრანგი ცენტრი რუდი გობერი ნბა-ს პირველი კალათბურთელი გახდა, რომელსაც „კოვიდ 19“ დაუდგინდა.

ლიგამ შეხვედრები გაურკვეველი ვადით გადადო და ყველა გუნდი, თუ მოთამაშე, ვისაც გობერთან შეხება ჰქონდა კარანტინშია მოთავსებული.

გობერის შემდეგ კორონავირუსი სხვა კალათბურთელსაც დაუდასტურდა და ეს მისი თანაგუნდელი დონოვან მიჩელია. „ჯაზმენების“ 58 წარმომადგენელს ტესტები ჩაუტარეს და დადებითი პასუხი მხოლოდ დონოვან მიჩელს მოუვიდა.

იუტას კალათბურთელებმა პირად საუბრებში აღნიშნეს, რომ გობერი გასახდელში დაუდევრად იქცეოდა და კონტაქტი თანაგუნდელებთან და მათ ნივთებთან ჰქონდა.

ვირუსი ნბა-ს კიდევ ერთ კალათბურთელს აღმოაჩნდა – დეტროიტ პისტონსის ფორვარდ კრისტიან ვუდს. ეს იუტა ჯაზთან მატჩიდან 1 კვირის შემდეგ მოხდა. გეტყვით, რომ ამ შეხვედრაში ვუდმა სწორედ გობერის წინააღმდეგ ითამაშა.

კორონავირუსი დაუდგინდათ ველომბროლელებს – კოლუმბიელ ფერნანდო გავირიასა და რუს დმიტრი სტრახოვს.

სადღეისოდ, მეტი სპორტსმენი დაავადებულთა შორის არ ფიგურირებს და, იმედია, ასეც დასრულდება.

## შედეგები

**14 მარტი**

**ფეხბურთი**

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ორენბურგი-სპარტაკი | 1:3 |
| ზენიტი-ურალი | 7:1 |
| არსენალი-რუბინი | 0:1 |

**რუბინის გოლი**
**ზურიკო დავითაშვილმა გაიტანა**

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| დენიზლი-გენჩლერი | 1:0 |
| ალანია-გაზიანთეპი | 1:0 |
| ქონია-ფენერბახჩე | 1:0 |

# ნანა ძაგნიძე ლოზანას გრანპრის გამარჯვებულია

ქართველი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გამართული ფიდეს გრანპრის გამარჯვებული გახდა.



ბოლო ტურში ერთმანეთს სატურნირო ცხრილს სათავეში მყოფი ძაგნიძე და რუსი ალექსანდრა გორიაჩკინა ხვდებოდნენ. ორივე მათგანს 6,5 ქულა ჰქონდა. თეთრებით ქართველი მოჭადრაკე იყო და 24-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ორივე მოჭადრაკემ 11 შესაძლებლობიდან 7 ქულა დააგროვა, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლით პირველობა ქართველ სპორტსმენს ერგო. მესამე ადგილზე ყაზახი ჟანსაია აბდუმალიკი გავიდა.

**საბოლოო ცხრილი:**

1-2. ნანა ძაგნიძე, ალექსანდრა გორიაჩკინა – 7-7 ქულა;

3. ჟანსაია აბდუმალიკი – 6.5;

4-5. ალინა კაშინსკაია, ანა მუზიჩუკი – 6-6;

6-8. ანტუანეტა სტეფანოვა, ჰარიკა დრონოვალი, მარია მუზიჩუკი – 5.5;

9-10. ცზიუ ვენცზიუნი, პია კრამლინგი – 4,5-4,5;

11-12. ალექსანდრა კოსტენიუკი, მარი სებაგი – 4-4.

მოჭადრაკე ქალთა ფიდეს 2019-2020 წლების გრან პრი ოთხი ეტაპისგან შედგება. 3 უკვე გაიმართა: ჯერ შეჯიბრებას რუსულმა სკოლკოვომ უმასპინძლა, მეორე რაუნდი მონაკოში ჩატარდა. მესამე, როგორც უკვე ვთქვით ლოზანაში გაიმართა, ხოლო მეოთხე ეტაპი იტალიის კუნძულ სარდინიაზეა დაგეგმილი.

გათამაშებაში მსოფლიოს 16 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობს. თითოეული მათგანი 3 ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და უძლიერესი იქ მოგროვებული ქულების ჯამით გამოვლინდება. საგულისხმოა, რომ 1-2 ადგილებზე გასული მოჭადრაკეები 2021 წლის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

# უეფას ვარიანტები – ზამთარი თუ მომავალი ზაფხული

ხვალ უეფაში 55 წევრ ქვეყანასთან ერთად ვიდეოკონფერენცია გაიმართება და იმსჯელებენ, რა ბედი ეწევა ევროპის ჩემპიონატს, რომელიც 2020 წლის ივნისში უნდა გაიმართოს.




ევროპულ მედიაში სხვადასხვა ვერსიებია: ბრიტანული პრესა წერს, რომ უეფა იმსჯელებს ევროპირველობის დეკემბერში გადატანაზე – თუ შესაძლებელია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ზამთარში ჩატარდეს, რატომ არ შეიძლება, რომ იგივე მოხდეს ევროპის ჩემპიონატის შემთხვევაშიც? ეს კითხვა დაისვა უკვე უეფაში.

არის მეორე ვარიანტიც: 2021 წლის ზაფხული, მაგრამ ამ დროისთვის ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ახალი ფორმატით აქვს დაგეგმილი და მსოფლიო ფეხბურთის შეფობას ამ ტურნირის გადადება არ სურს.

ახლა ევროპაში ფეხბურთი თითქმის ყველგან გაჩერებულია. ინგლისში უკვე ვრცელდება ხმები, რომ პრემიერლიგის მატჩები სექტემბრამდე აღარ ჩატარდება. მთავარი კითხვა ასე ჟღერს: იქნება კი ზამთრამდე კორონავირუსი დამარცხებული? ექსპერტების მოსაზრებები სხვადასხვანაირია. ზოგი ფიქრობს, რომ 3-4 კვირაში კრიზისის ურთულესი პერიოდი გადავლილი იქნება, სხვები კი გვაფრთხილებენ, რომ დიდი შანსია, კორონავირუსი შემოდგომაზეც გავრცელდეს.

არადა, ევროპის ჩემპიონატის გადადება შეღავათი იქნება პრემიერლიგისთვის, ბუნდესლიგისთვის, სერია ა-სთვის, ლა ლიგისთვის და სხვა ჩემპიონატებისთვის.

მათ საშუალება ექნებათ, ეს სეზონი ჩაამთავრონ.

# რონალდინიომ გოჭი მოიგო და მესის დაქირავებულ ადვოკატებს ელოდება

როგორც მოგეხსენებათ, ყალბი პასპორტის გამოყენების გამო პარაგვაის სასამართლომ რონალდინიოს 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა. ანალოგიურად 6 თვეს გაატარებს ციხეში ფეხბურთელის ძმაც.



ჰოდა, ციხეში მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, რონალდინიომ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად ჩვეული საქმის, ბურთის გორება გადაწყვიტა.

ცხადია, რონის ციხეში თამაში უფრო გაუადვილდა, რადგან მარტივად ატყუებდა მეტოქეს, არიგებდა პასებსა და გაჰქონდა გოლები. ფინალში მისმა გუნდმა 11:2 მოიგო. რონის ანგარიშზე 5 გოლი და 6 საგოლე პასი იყო. ბრაზილიელს პრიზიც „ღირსეული“ შეხვდა – 16-კილოგრამიანი გოჭი. პატარა თასიც გადასცეს.

მატჩებს მხოლოდ ერთი მაყურებელი ესწრებოდა – პარაგვაის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ნელსონ კუევასი, რომელმაც სოციალურ ქსელში ტურნირის შემდეგ რონისთან გადაღებული ფოტოები გამოფინა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩვეულებრივი ციხე არ არის, უფრო წინასაგამოძიებო იზოლატორია, სადაც ფინანსური მაქინაციების გამო სხედან. პასპორტის გაყალბებაც ამ კატეგორიაში გადის.

რონის გარდა, ტურნირში მონაწილეობა ადგილობრივი მასშტაბის „ვარსკვლავებმა“ მიიღეს. მაგალითად, რონალდინიოს გუნდის კაპიტანი, ფერნანდო გონსალეს კარიალო, პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, რამონ გონსალეს დაერის შვილია. ახლა მამა-შვილს ერთად ედებათ ბრალად ფინანსური მაქინაციები.

ფინალში რონის მეტოქე იყო დეპუტატი მიგელ კუევასი, რომელიც ზემოთ ნახსენები ნელსონ კუევასის ძმა არის.

და მთავარი: რა ისმის რონალდიოს საქმეზე, რომელსაც ბრალად პასპორტის გაყალბება ედება?

გამოძიება გრძელდება, ამიტომაც რონი და მის ძმა ჯერ კიდევ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან. მართალია ისიც, რომ მოსამართლემ მაქსიმალურ სასჯელად 6 თვე გამოაცხადა.

ვერ გეტყვით, ეყოფა თუ არა რონის 16-კილოგრამიანი გოჭი 6 თვე, მაგრამ გარკვეული დრო საკვები ნამდვილად არ მოაკლდება...

ლიონელ მესი თავისი ყოფილი თანაგუნდელისა და დიდი მეგობრის ციხიდან დასახსნელად 4 მილიონი დოლარის გადახდას გეგმავს. გარდა ამისა, არგენტინელი 4 უმაღლესი დონის ადვოკატის დაქირავებას აპირებს, რომლებიც მომავალი სასამართლოსთვის საქმის გადახედვას მოითხოვენ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# სკანვორდი



1. ქალბატონო (ინგლისურად); 2. ხეთების ქალღმერთი; 3. მწერიჭამია ბალახი; 4. ... დეპარდიე; 5. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 6. ძველრუსული ოქროს ფული; 7. ებრაელთა ხმიადი; 8. ავტომობილების სადგომი ნაგებობა; 9. სამიანი ნარდში; 10. ძველრუსული სიგრძის საზომი ერთეული; 11. ... ბერნარი; 12. ურმის ტაბიკების გადასაბმელი თოკი; 13. ქალიშვილი (ინგლისურად); 14. პოლიციის მოხელე სოფელში ძველად; 15. ქალაქი უკრაინაში; 16. მდინარის მტაცებელი თევზი; 17. ელ ... (მხატვარი); 18. მიწასთან, დედამიწასთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი; 19. სანელებელი; 20. ესპანელი აზნაური; 21. ... სიბელიუსი; 22. პიანისტი ... რუბინშტეინი; 23. მცენარეთა სამყარო; 24. მერიმეს ნოველა; 25. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 26. სუსტი არაყი; 27. შლიმანის აღმოჩენილი ქალაქი-სახელმწიფო; 28. კავშირი (გრამატ.); 29. რძის პროდუქტი; 30 ... კალატოზიშვილი; 31. ტბა აფრიკაში; 32. ამერიკული ძუძუმწოვარი მღრღნელი; 33. ინგლისის თემთა პალატის წევრი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დროება, 2. ვოტუმი; 3. კურსი; 5. კალა; 6. ჩაფარი; 8. პაულსი; 11. ხაბიზგინა; 13. თურნავა; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თული.

**თარაზულად:** 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. ოცელოტი; 9. სანაცია; 10. ცხუმი; 12. ზელინსკი; 16. დისკუსია; 17. კრუზადო; 12. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. ზარა; 22. მარკიორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვიში; 2. ვერდი; 3. მთიები; 5. ომალო; 6. ჩუქურთმა; 8. ცისარტყელა; 10. სიმეონე; 12. რეკლამა; 14. მოსტრა; 15. გერანი; 16. გუაში.

**თარაზულად:** 1. ვლტავა; 4. მოდრიჩი; 7. ხორუმი; 9. ბარონი; 11. ესენცია; 12. რეკვიემი; 13. ვერიკო; 17. ბრონტე; 18. ლემა; 19. ამპლიტუდა; 20. საფიჩხია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9942

ევრო — 3.3421

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7736

100 რუსული რუბლი — 4.1028

## ამინდის პროგნოზი 16 მარტისთვის








17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

**მთელი მსოფლიო**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ემილი რატაკოვსკიმ პიჯაკი შიშველ სხეულზე მოირგო



ამერიკელმა სუპერმოდელმა და მეწარმემ ემილი რატაკოვსკიმ მორიგ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში თავის გვერდზე გამოქვეყნდა.

სოციალურ ქსელში განთავსებულ კადრში ცნობილი მოდელი მუქი ფერის თეთრზოლიანი კოსტიუმით – მაღალწელიანი შარვლითა და ოვერსაიზ-პიჯაკით არის აღბეჭდილი და ეს ყველაფერი მას შიშველ სხეულზე აქვს მორგებული. მოდელი ფეხშიშველაა, თმა კი უკან აქვს გადაწეული.

მოდელის ხელმომწერებმა მისი ფოტოსურათი საკუთარ კომენტარებში ასე შეაფასეს: „ცეცხლი ხარ“, უბრალოდ, საუკეთესო ხარ“, „როგორი უმშვენიერესი ხარ“, „შესანიშნავი სურათია“, „შენ ყველაზე მაგარი ხარ“, „უკიდურესად ელეგანტური ხარ“. ცნობილია, რომ ფოტოსესიის ავტორი ამერიკელი ფოტომხატვარი რანელ მედრანოა.

## ლატარიის გამარჯვებული უყურადღებობამ კინაღამ მოგების გარეშე დატოვა



ამერიკის კოლორადოს შტატის მცხოვრები თავისი უყურადღებობის გამო კინაღამ უზარმაზარი მოგების გარეშე დარჩა.

მამაკაცი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ხუთი ათასი დოლარი მოიგო და ბოლო მომენტამდე მოგების მისაღებად არ მიდიოდა. მოგების მიღების ვადა ექვს მარტს იწურებოდა. ამის შემდეგ მოგებული თანხა ლატარიის საპრიზო ფონდს დაუბრუნდებოდა და მისი მიღება შეუძლებელი გახდებოდა.

სინამდვილეში კი მას მეორე პრიზის მიღების შანსი სიცოცხლის ბოლომდე შეიძლება ჰქონოდა და ამ შემთხვევაში ის ყოველწლიურად 25 ათას დოლარს მიიღებდა. ლატარიის გამარჯვებულმა საკუთარი შეცდომა თებერვლის ბოლოს შენიშნა და ვადის ამოწურვამდე ორი დღით ადრე ლატარიის ორგანიზატორებთან დაკავშირება მოასწრო.

## წყლიდან ამომხტარმა პითონმა ქორი მოკლა



ავსტრალიის უოტარკის ეროვნულ პარკში პითონი თავს დაესხა ქორს, რომელიც წყალთან ნადავლის მოსაძიებლად დაეშვა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ფეისბუქში პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

პარკში დაყენებულმა ფოტოხაფანგმა აღბეჭდა ის მომენტი, როდესაც ქორი ნადირობის დროს წყლის ზედაპირთან დაეშვა, თუმცა მტაცებელი ფრინველი თავად გახდა გველის მსხვერპლი, ვინაიდან ქვეწარმავალი ძალიან გვიან შენიშნა. ქორი შეეცადა, აფრენილიყო, მაგრამ პითონი წყლიდან ამოხტა და ფრინველი დაიჭირა.

ქვეწარმავალსა და ფრინველს შორის ორთაბრძოლა წყალში გაგრძელდა. ქორი თავის გადასარჩენად იბრძოდა. ვიდეოს ბოლო კადრებში გველის ტრიუმფია ასახული, რომელიც ქორს შემოეხვია და გაგუდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 16 მარტისთვის



**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **მორიელი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ცოლი და ქმარი მუზეუმში გამოფენას ათვალიერებენ. კაცმა შიშველი ქალის ქანდაკება შენიშნა, რომელსაც წინ ფოთოლი აქვს აფარებული, გაჩერდა მის წინ და ფეხს აღარ იცვლის. ცოლმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ეუბნება:

– ჰა, გამოადგამ ახლა ფეხს თუ შემოდგომას დაელოდები?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შენს ცოლს ენა რატომ აქვს გაშავებული?

– ზღვაზე იყო დასასვენებლად და გაირუჯა.

•••

სოფლის გზაზე ავტოკატასტროფა მოხდა, მანქანა ბოძს შეასკდა, არის ერთი ამბავი, ტელევიზიები მის გაშუქებას ცდილობენ და ჟურნალისტები ინფორმაციის მისაღებად თვითმხილველს ეძებენ. იქვე მამაკაცი შენიშნეს, რომელიც ამ ყველაფერს დინჯად ადევნებდა თვალს და ერთ-ერთი ჟურნალისტი ეკითხება:

– ბატონო, ორიოდე სიტყვით ხომ ვერ გვეტყვით, რა მოხდა?

– რა და ეგერ „სტოლბას“ ხედავთ?

– კი, ვხედავთ.

– მაგენმა ვერ დეინახეს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კეიტ მიდლტონმა მეგან მარკლს ისევ აჯობა

კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლთან მიმართებით:



ის სამეფო ოჯახის ყველაზე სტილურ ქალად აღიარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იმ ჩასაცმელების მიმართ დაინტერესება, როგორიც კეიტ მიდლტონს აქვს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, წინა ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ინტერნეტმაღაზიებში 40 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს, იმ საგნებზე მოთხოვნილება, როგორებსაც მეგან მარკლი იყენებს, მის მიერ სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმის შემდეგ 31 პროცენტით დაეცა. შედარებისთვის მოყვანილია 2017-დან 2019 წლის ჩათვლით სტატისტიკა.

აღსანიშნავია, რომ კეიტ მიდლტონის ყველაზე პოპულარულ სამოსს 2020 წლის პირველ თვეებში მისი გრძელი მუქი მწვანე ფერის Alexander McQueen-ს პალტო და Suzannah London-ის კაბა წარმოადგენს. პრინც უილიამის მეუღლის ირლანდიაში ვიზიტისთანავე ამ ნივთებზე მოთხოვნილება, შესაბამისად, 233 და 93 პროცენტით გაიზარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მაია ასათიანს დეზინფორმაციას უვრცელებენ



გადაცემა „პროფილის“ წამყვან მაია ასათიანს დეზინფორმაციას უვრცელებენ:

– ყალბი ფეისბუქ აქაუნთების მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ მაია ასათიანს კორონავირუსი აქვს. მაია თავს კარგად გრძნობს, აბსოლუტურად ჯანმრთელია და თქვენც იმავეს გისურვებთ!

მოგიწოდებთ ყველას, ისედაც დაძაბულ დროს ნუ ავრცელებთ დეზინფორმაციას! – ნათქვამია „პროფილის“ ოფიციალურ განცხადებაში.

## ანიტა რაჭველიშვილი: „ჩემს საქართველოში მინდა!“



გერმანიაში მყოფი ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი რამდენიმე დღეა, საქართველოში დაბრუნებას ცდილობს:

– უკვე მერამდენე დღეა, სახლში დაბრუნებას ვცდილობთ! აბსოლუტური ქაოსია ევროპის ავიახაზებში. ყველა აუქმებს ახსნა-განმარტების გარეშე და ტელეფონზეც არ პასუხობენ არსად! ხვალინდელ დღეზე სამი სხვადასხვა ფრენა მაქვს აღებული იმ იმედით, რომ ერთი მაინც დაგვაბრუნებს სახლში! ჯანმრთელები ვართ და ჩემს საქართველოში მინდა!

თავის ჯანმრთელობას ანიტამ იმიტომ გაუსვა ხაზი, რომ უცნობმა პირებმა მისი ავადმყოფობის შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია:

– ვიღაცა უნამუსო ავრცელებს ხმებს, რომ მე ავად გავხდი და მინდა გკითხო, ვინც არ უნდა იყო, ადამიანობა და ნამუსი საერთოდ გაქვს?! სამარცხვინო ხარ, ვინც არ უნდა იყო და აუცილებლად დაისჯები, რომ გავიგებ, ვინ ხარ! ჯანმრთელი ვარ, როგორც არასდროს და ყველა ოჯახის წევრი, ვინც ჩემთან ერთად ბერლინში იმყოფება, არის სრულიად ჯანმრთელი! ცოტა გონზე მოდით ტელევიზიებიც! რაღაც ტყუილებს ნუ ავრცელებთ და პანიკას ნუ თესავთ!

პ.ს. ანიტა რაჭველიშვილს გერმანიაში ბერლინის სახელმწიფო ოპერაში სპექტაკლები ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა, კორონავირუსის გავრცელების გამო, თეატრი დაიხურა. თეატრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, „კარმენი“ მაყურებლის გარეშე წარედგინა და მისი ნახვის საშუალება პირდაპირ ეთერში ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

## ჯაბა ბოჯგუა 41 წლის გახდა



მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 41 წლის გახდა. ის უკვე 12 წელია, კომაშია და დედის, მანანა გვასალიას მეტი არავინ ჰყავს:

– ჯაბას დაბადების დღეა. 41 წლის გახდა. ყოველ დილას კეთილი ადამიანების იმედად ვარ. ისევ უფლის იმედად. ისევ მარტო. 12 წელია, ვყარაულობ შენს სუნთქვას და შენით ვსუნთქავ მეც. არ ვიცი, ჩემი დაღლილი სიცოცხლე როდემდე გაძლებს. ჯანმრთელობა შემერყა მეც და ასეთი შერყეული ვდგავარ შენ წინაშე. თუმცა ჩემს წილ სიცოცხლესაც გაჩუქებ, დედი, ოღონდ შენ მყავდე კარგად. არც სახლი, არც ფინანსები, არც ფენია ბებია. მხოლოდ მე და შენ და კეთილი ადამიანები, უფლის ნებით გამოგზავნილი იმედიანი ადამიანები. გილოცავ, დედი!

## გივი მარგველაშვილი მახათას მთაზე დაკრძალეს



92 წლის ასაკში გარდაცვლილი მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

პოეტმა შოთა იათაშვილმა განაცხადა, რომ მარტოსულმა და სიმყუდროვის მოყვარულმა კაცმა სიკვდილისთვისაც ზუსტი დრო შეარჩია.

**შოთა იათაშვილი, პოეტი:**

– ზუსტი დრო შეარჩია. მაინც მთელი ცხოვრება მარტოსული და სიმყუდროვის მოყვარული კაცი იყო, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე გალია ცხოვრება და ბოლო გზასაც ზედმეტი ხმაურის გარეშე დაადგა, მაშინ როცა ყველა თავის სახლშია ჩაკეტილი და ხალხმრავალი ცერემონიები აკრძალულია. ვიზიარებ მწუხარებას.

**ზურაბ კიკნაძე, ლიტერატორი:**

– ეპოქალური ადამიანი, რომლის ზურგზე გადაიარა მეოცე საუკუნის ორმა საშინელმა რეჟიმმა, რაც აისახა კიდეც მის შემოქმედებაში.

**სოფო კილასონია, ხელოვნებათმცოდნე:**

– აბსოლუტურად გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ მას კარგად არ ვიცნობთ. ჩვენ არ გვასწავლიდნენ ჩვენი დროის და გუშინდელი დღის ნამდვილ ისტორიას და მის ავტორებს. ალბათ არც ახლა ვართ ამ თვალსაზრისით ძალიან წინ.

**ლაშა ბაქრაძე, ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი:**

– დიდი მოაზროვნე და მწერალი გივი მარგველაშვილი განსაკუთრებული ადამიანი იყო, რომელსაც მისი სამშობლო ჯერ კიდევ არ იცნობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ჰავა; 5. მხლად სახმარი ბალახოვანი მცენარე; 7. ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო ასაცრელი პრეპარატი; 9. გადასინჯვა (ლათინურად); 10. შინაური ფრინველი; 13. დიდი, ღრმა ბზარი; 14. დიდი ტროპიკული ხვლიკი; 15. შუშა; 19. ხეობა აღმოსავლეთ საქართველოში; 20. დამამშვიდებელი სამკურნალო პრეპარატი; 21. პაპის შემდგომი სასულიერო ხარისხი კათოლიკურ ეკლესიაში; 22. ვინმეზე დამოკიდებულ ადამიანზე იტყვიან.

**შვეულად:** 1. ყლორტის ან ყვავილის ჩანასახი; 2. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 3. წინასწარმეტყველი ქალიშვილი ძველ ბერძნულ ეპოსში; 4. იუპიტერის თანამგზავრი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 8. მსხვილი მახრჩობელა გველი; 11. წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი; 12. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 16. ცომისებრი მასა; 17. ზრდადაუსრულებელი დედალი; 18. ბანქო.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

